ნაპილული

140
2003/2

8

ნიკოლოზ ლაკლაძე

გაზაფხულზე



ლაგვილი
ეროვნული

ცესლოვა
ეკატერინე

თანაული
მეგანერლიანეკატერინა

საქართველოს მოძეგალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარის №-3 საშუალო სკოლა, II კლასი.
ხელმძღვანელი გვანცა მანჯგალაძე

მერამბიკო
დოლბაია



ნინო და იმედი
ლაცარიძები

თბილისის ნიჭიერთა
კერძო სკოლა-აკადემია

ნაკადული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაკადული

საყმაწვილო ჟურნალი
2003 წ. № 8

ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მესვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნათესაურზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და „პიონერი“ ეწოდა, 1990 წლიდან კი იგი ჯერაც თავისი პირველადელი სახელით გამოდის.

ნომრის შინაარსი

„ნაკადულის“ საინფორმაციო სააგენტო „ფაქტი“ ---------- 2
მომავალზე ფიქრით. ნომრის სტუმარია ჯვარის მე-3 საშუალო სკოლა ------ 3
13 წლის მეცხრეკლასელი (დასამახსოვრებელი სახელები) ---------- 5
„ოდოშხერი“ ---------- 6-8-15-12-22-26
გაუმარჯოს სიყვარულს! ---------- 7
მიკი მაუსის იუბილე ---------- 9
რობერტ შეკლი. ბულალტერი (ფანტასტიკური მოთხრობა) ---------- 10
„ათინათი“ სინათლის სხივს ნიშნავს ---------- 14
საკონტროლო წერა თემაზე: „ვის მინდა ვგავდე“ ---------- 16
მსოფლიო კიდით კიდემდე ---------- 18
ჭეშმარიტი მეგზური ---------- 20
რა მანძილია ინგლისის მეფის ცხვირიდან მისი შუა თითის წვერამდე ------ 21
ტესტი თინეიჯერებისთვის ---------- 24
მაინც რა არის ასტროლოგია? ---------- 27
სიცილის გაკვეთილი ---------- 31
იწილო-ბიწილო ---------- 32

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი
მანანა გელაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ. 14
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.
ინდექსი: 76157
ფასი 1 ლარი
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლოში

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ნაკადულის“ საინფორმაციო საგანგებო „ფაქტი“

ბავშვთა პარლამენტი მუშაობას შეუდგა

იმ პროექტის ჩარჩოებში, რომელსაც საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ბავშვთა ფედერაცია გაეროს ბავშვთა ფონდის ხელშეწყობით ახორციელებენ, ჩატარდა მეორე მოწვევის ბავშვთა და ახალგაზრდობის პარლამენტის არჩევნები. ახლად არჩეული პარლამენტის პირველ სესიაზე ბავშვთა პალატის სპიკერად ქეთი არველაძე აირჩიეს. ქეთის მიერ ნორჩი პარლამენტარებისთვის წარდგენილი პროგრამა ითვალისწინებს ბავშვების აქტიურ ჩართვას საგანმანათლებლო რეფორმაში, დევნილი ბავშვებისა და არასრულწლოვანთა კოლონიის პრობლემების მოგვარებაში.

პრლვევენ თუ არა მასწავლებლები მოსწავლეთა უფლებებს?

სკოლაში მოსწავლეთა უფლებების დარღვევის ფორმების გამოსავლენად თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა ჩაატარეს მოსწავლეთა გამოკითხვა. 1000 გამოკითხულიდან 42 პროცენტმა განაცხადა, რომ დასჯის მეთოდებიდან მასწავლებლები ყველაზე ხშირად იყენებენ მუქარას, დაშინებას და სიტყვიერ შეურაცხყოფას, 33 პროცენტმა კი ასეთ მეთოდად ფიზიკური შეურაცხყოფა დაასახელა. გამოკითხვით ისიც დადგინდა, რომ ამა თუ იმ მოსწავლის მიერ მათი – უფლებების დარღვევისას მოსწავლეთა დიდი ნაწილი – 40 პროცენტი საკუთარ მშობლებს მიმართავს, 30 პროცენტი თვითონვე ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, მცირე ნაწილი კი კონფლიქტის შესახებ სკოლის დირექტორს ან დამრიგებელს აცნობებს. გამოკითხვის შედეგებმა დაადასტურა, რომ მოსწავლე-მასწავლებლებს შორის წარმოქმნილი დაძაბულობის განსამუხტავად ბავშვები ძალზე იშვიათად მიმართავენ სკოლის ფსიქოლოგს.

ნანა ძაგნიძის მორიგი გამარჯვება

საბერძნეთის ქალაქ ქალკიდაში გამართულ 2003 წლის მსოფლიო ჩემპიონატში 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკე გოგონათა შორის უძლიერესი ნანა ძაგნიძე იყო. ამ უმნიშვნელოვანეს ტურნირში ქართველი მოჭადრაკე უკვე დიდოსტატის წოდებით ასპარეზობდა. აღსანიშნავია, რომ უფრო ადრე ნანამ ქ. ნახიჭევანში გამართულ 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატშიც გაიმარჯვა.

„იმედში“ ბავშვებზე ზრუნავენ

ადგილობრივი „ქალთა საბჭოს“ მესვეურობითა და ძალისხმევით დედოფლისწყაროში, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ბაზაზე მუშაობას შეუდგა ფსიქოსოციალური მიზნობრივი რეაბილიტაციის ცენტრი „იმედი“, რომელიც სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი, აფხაზეთის ომის მონაწილეთა ოჯახების შვილებს, აგრეთვე ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ემსახურება. 40 ასეთი ბავშვი სკოლის შემდეგ მოდის „იმედში“, სადაც მათ გაკვეთილების მომზადებაშიც ეხმარებიან და ცეკვა-სიმღერას, ხალიჩების ქსოვას და კომპიუტერზე მუშაობასაც ასწავლიან. ყველაფერთან ერთად ეს მოზარდები „იმედში“ ერთჯერადი უფასო კვებითაც არიან უზრუნველყოფილები.

ნორჩ კალათბურთელთა ჩემპიონატი

თბილისის მერიის პატრონაჟით გამართულ ნორჩ კალათბურთელთა საქალაქო ჩემპიონატში ყველას 36-ე სკოლის გუნდმა აჯობა. მეორე – მესამე ადგილებზე შესაბამისად პირველი ექსპერიმენტული და 53-ე საშუალო სკოლის კალათბურთელები გავიდნენ. საქალაქო ჩემპიონატი, რომელშიც 1991-1992 წელს დაბადებული მოსწავლეები მონაწილეობდნენ, ჩატარდა დევიზით „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“.

ნაბადული ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სტუმარია ჯვარის მე-3 საშუალო სკოლა



ბ-ნი გეგე მანჯგალაძე

მოკლედ სკოლის ისტორიიდან: ჯვარის მე-3 საშუალო სკოლა შეიქმნა ენგურჰესის დასახლებაში არსებული ყოფილი რუსული სკოლის ბაზაზე, რომელიც 1979 წელს გაიხსნა. ამ უკანასკნელის არსებობა კი იმით იყო განპირობებული, რომ მაშინ ენგურჰესის მშენებლობაზე მუშასაც კი არ ღებულობდნენ, თუ რუსულ ენას არ ფლობდა. რადგან ადრევე გახსნილ ჯვარის №1 სკოლაში რუსულ-ქართული სექტორი მუდმივად მზარდ კონტინგენტს ვეღარ იტევდა, გადაწყდა, ორივე სექტორის დაწყებითი კლასები შედარებით უფრო ძველ შენობაში დაეტოვებინათ, უფრო მოზრდილი მოსწავლეები კი ახლად აშენებულ ოთხსართულიან კორპუსში გადაიყვანეს. რუსული სკოლის დირექტორად, როგორც რუსული ენის სპეციალისტი, გეგე მანჯგალაძე დანიშნეს. რადგან სკოლაში მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობდა, სკოლას რუსულენოვან მოსახლეობასთან ერთად ადგილბრივი მკვიდრნიც მიეძალნენ. ბატონი გეგე გონიერი, შორსმჭვრეტელი ადამიანი, თავისი ქვეყნის პატრიოტი გახლავთ და როდესაც ქართველი ბავშვების რუსულ სკოლაში შეყვანის პროცესმა ინტენსიური ხასიათი მიიღო, იგი მას იმით აღუდგა წინ, რომ საკუთარი ოთხი შვილი ქართულ სკოლაში მიიყვანა. ესოდენ პატივსაცემი პიროვნების ამ ნაბიჯმა ბევრი დააფიქრა და რუსული სკოლის დირექტორის მაგალითს არა ერთმა მშობელმა მიბაძა, შედეგად კი საშუალო განათლების რუსულ ენაზე მიღების მსურველთა ნაკადმა საგრძნობლად იკლო. მერე დროც შეიცვალა და რუსულ სკოლას ბუნებრივად შემოაკლდა კონტინგენტი. მაშინ ბატონმა გეგე მანჯგალაძემ წმინდა ქართული სკოლის გახსნაზე დაიწყო ფიქრი. მისი დიდი ძალისხმევით იდეამ სულ მალე შეისხა ხორცი და ჯვარის ახალი ქართული სკოლის ზღურბლს მისი არსებობის პირველ წელს ოცამდე პირველკლასელმა გადააბიჯა. იმ გოგო-ბიჭებმა 2002 წელს დაამთავრეს საშუალო სკოლის სრული კურსი და ცხოვრების დიდ გზაზე გავიდნენ. თანდათან სკოლის ყველა კლასი დაკომპლექტდა და მან სრულყოფილი სახე მიიღო. ახლა უკვე ადრინდელის საწინააღმდეგო ტენდენცია გამოიკვეთა – ბევრ არაქართველსაც ქართულ სკოლაში შეჰყავს შვილები.

სკოლის პედაგოგიური კოლექტივი

კვლავ და კვლავ დირექტორის მცდელობით ახალ ქართულ სკოლას ის ძველი კორპუსი გადასცეს, სადაც ადრე ორივე სექტორის მოსწავლეები სწავლობდნენ. ქვეყანაში დაწყებული საყოველთაო არეულობის დროს სკოლის შენობაც ძალიან დაზარალდა – გაიძარცვა საკლასო ოთახები და კაბინეტები, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზი. ბატონი გეგე სკოლაში ათენ-აღამებდა, რათა ის მცირედი მაინც შეენარჩუნებინა, რაც მსახვრალ ხელს გადაურჩა. სკოლის მწირი ქონების გადასარჩენად მან პედაგოგები და მშობელთა აქტივი ამოიყენა გვერდით, მორიგეობდნენ, დარაჯობდნენ, სკოლის კუთვნილებას არავის ანებებდნენ. ასე, საერთო ძალისხმევით მოხერხდა სწავლების ძირითადი საშუალებების შენარჩუნება. ამით გამხნევებულმა დირექტორმა და პედკოლექტივმა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება-შეკეთებაზე დაიწყეს ფიქრი. გარემონტდა საკლასო ოთახების დიდი ნაწილი, გამოიცვალა კარ-ფანჯრები, შეიღება იატაკი, განახლდა ელექტრო და წყალგაყვანილობა, კანალიზაციის სისტემა.

დირექტორის ინიციატივას, თითოეულს კვირაში ერთი დღე ემუშავა სკოლაში, როგორც შავ მუშას, სიამოვნებით აუბეს მხარი, როგორც პედაგოგებმა, ისე მშობლებმა. სასკოლო ინვენტარის, ავეჯის შეკეთებაში კი მოსწავლეებიც ჩართეს, შეიქმნა სპეციალური ჯგუფები და ბრიგადები, რომლებმაც შრომის მასწავლებლის ე. გოგილავას ხელმძღვანელობით პირვანდელი სახე დაუბრუნეს მერხებს

გაგრძელება მე-4

თუ სკამებს, მაგიდებს თუ კარადებს. მოსწავლეთა ნაწილი კი სკოლის გათბობის საქმის მოგვარებაზე ზრუნავდა.

დრომ, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმებმა ამ სკოლასაც ახალი ამოცანები დაუსახეს, ახალი მოთხოვნები წაუყენეს, მაგრამ გამოცდილ დირექტორს და პედკოლექტივს არც ამ სიახლეების შეშინებიათ. თავადაც აშკარად ხედავდნენ და გრძნობდნენ სწავლა-აღზრდის ყავლგასული მეთოდების შეცვლის, ახალი ფორმების ძიების აუცილებლობას. სწორედ ამ ძიების შედეგად გადაწყდა, უარი ეთქვათ ტრადიციული ყოველდღიური გამოკითხვის, მიმდინარე ნიშნების დაწერის მეთოდებზე და ჩათვლების სისტემა დაენერგათ. რესპუბლიკის მოწინავე სკოლების გამოცდილების მოშველიება-შეჯერებით მოხერხდა საკუთარი მოდელის შემუშავება და მისი დამკვიდრების დაწყება.

სკოლის პედკოლექტივის შრომა-გარჯას უკვე მოჰყვა პირველი გამარჯვება – ჯვარის მე-3 საშუალო სკოლამ ზუგდიდის რაიონის სხვა სამ მოწინავე სკოლასთან ერთად მსოფლიო ბანკის მიერ დაწესებული 1000 დოლარის ოდენობის გრანტი დაიმსახურა. გრანტის მისაღები პროგრამა ინგლისური ენის ლაბორატორიის შექმნას ითვალისწინებდა, უნდა შექმნილიყო სპეციალური კაბინეტი, რაც არსებულ პირობებში არც ისე ადვილი იყო. თითოეული პედაგოგის და ცალკეულ მშობელთა დიდი გარჯითა და რუდუნებით ესეც გაკეთდა და შედეგმაც არ დაყოვნა. მოგებული გრანტის თანხა გადმორიცხება სკოლის ანგარიშზე, რომელიც ბატონმა გეგე მანჯგალაძემ რაიონულ ბანკში გახსნა და მოხმარდება სწავლებისთვის საჭირო საშუალებებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის გარდაქმნა-გაუმჯობესებას. ეს კი თავის მხრივ დიდად შეუწყობს ხელს სასკოლო ცხოვრების გარდაქმნას რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად.

ყველაფერთან ერთად, მე-3 სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა რელიგიურ-სარწმუნოებრივ აღზრდას. მოწვეულ იქნა ამ საქმის ჩინებული სპეციალისტი, ლ. აფაქიძე, რომელმაც დირექტორის უშუალო ხელმძღვანელობით მოაწყო რელიგიის კაბინეტი. მოსწავლე-ახალგაზრდები და მშობლები აქტიურად ჩაებნენ სკოლის გვერდით მდებარე ეკლესიის ნანგრევების გასუფთავებაში. მუშაობის პროცესში გამოჩნდა ეკლესიის ნაფუძარი და მეტრნახევრის სიმაღლის კედლები. ამ საქმის ინიციატორმა ჟურნალისტმა გვანჯი მანიამ მოსწავლეებს გააცნო ძველი ფოტოსურათები, რუკები, სქემები და სხვა დოკუმენტური მასალა ამ ეკლესიის ისტორიიდან, რის შემდეგაც ბავშვებს დიდებთან ერთად სურვილი გაუჩნდათ შექმნან სპეციალური ფონდი ამ, წმინდა ჯგეგეს (გიორგის) სახელობის ეკლესიის აღდგენისათვის. დაიწერა წერილი განათლების მესვეურთა მისამართით მესამე საშუალო სკოლის რელიგიურ-საოსტატო სკოლად გადაკეთების შესახებ. საერთო ჩანაფიქრით, ეს უნდა იყოს სკოლა, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნასთან ერთად მოსწავლეს შეეძლება ჩაწვდეს ხალხური რეწვის საიდუმლოებას, სანამ გვიან არ არის, სანამ ტრადიციებით მდიდარ ამ მხარეში კიდევ ცოცხლობენ ხალხური რეწვის ოსტატები, რომლებსაც შეუძლიათ ბავშვებს ასწავლონ სხვადასხვა ხელობა, დაწყებული ნაბდის დამზადებით, დამთავრებული მუსიკალური საკრავების კეთების ხელოვნებით.

არც ისე დიდი ხანია, სკოლამ დამხმარე სასწავლო მასალებისა და თვალსაჩინოებების გამოფენაზე შეკვეთილი მასალები მიიღო, რამაც ერთნაირად გაახარა მოსწავლეებიც და მასწავლებლებიც და სწავლის პროცესში მეტი ხალისი და ინტერესი შეიტანა.

ჯვარის მე-3 საშუალო სკოლა, მისი მოსწავლე-მასწავლებლებიც და დირექტორიც იმედიანად უყურებენ მომავალს და მოწადინებასა და შრომა-გარჯას არ იშურებენ იმისთვის, რათა იგი აწმყოზე უკეთესი იყოს, საამისო წინაპირობების შესაქმნელად კი ყველანი ირჯებიან. სკოლამ უკვე შეიმუშავა ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო სკოლის წესდება, რომლის საფუძველზეც იგი საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბდება, ეს კი ხვალ და ზეგ კიდევ ბევრი სიახლის დანერგვაში შეუწყობს ხელს და საბოლოო ჯამში იმ აქტუალური ამოცანების შესრულებას წაადგება, დღეს რომ თანამედროვე სკოლის წინაშე დგას – მისცეს მოსწავლეს საფუძვლიანი ცოდნა, ასწავლოს მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება, აღზარდოს განათლებული, ზნესრული ადამიანები.

შენი თანატოლები

ნათია და ირაკლი ფიფიები

და-ძმა, ნათია და ირაკლი ფიფიები ჯვარის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან. ირაკლი მეოთხეკლასელია, ნათია კი მესამეკლასელი. ორივენი ფრიადებზე სწავლობენ და საერთოდ, სანიმუშო ყოფაქცევით, ზრდილობით, კეთი-

ლმოსურნეობით მთელ სკოლაში თითით საჩვენებლები არიან.

ირაკლი ძალიან ბევრს კითხულობს, განსაკუთრებით უყვარს წიგნები სახელოვან წინაპართა საგმირო საქმეების შესახებ.

წიგნების სიყვარულში არც ნათია ჩამორჩება ძმას. ამა თუ იმ წიგნს რომ წაიკითხავენ, მერე ერთად მსჯელობენ მის შესახებ, ერთად ოცნებობენ, უნდათ იმ ადამიანებს დაემსგავსონ, სამშობლოსთვის რომ იბრძოდნენ და იღვწოდნენ.

ირაკლი მომავალში ექიმობას აპირებს. ეს გადაწყვეტილება მან მას შემდეგ მიიღო, რაც თეთრხალათიანმა ადამიანებმა მისი საყვარელი დაიკო სიკვდილს გამოსტაცეს. როგორ გაიხარეს მაშინ მან და მისმა მშობლებმა, როგორი ბედნიერები იყვნენ. ჰოდა, ირაკლისაც უნდა ასეთივე სიხარული და ბედნიერება მიანიჭოს ხოლმე ადამიანებს.

დასამახსოვრებელი სახელები

13 წლის მეცხრეკლასელი

მოდით, დავაზუსტოთ, რომელ კლასში უნდა იყოს 13 წლის ყმაწვილი. ჩვენს ქვეყანაში ბავშვები სკოლაში, როგორც წესი, 7 წლისანი მიჰყავთ, ასეა ხომ? მაშასადამე, 13 წლის ყმაწვილი მეშვიდე კლასის მოსწავლე უნდა იყოს. დიახ, ნამდვილად ასეა, მაგრამ რუსთაველი დათო კოსაკიანი, რომელიც სწორედ 13 წლისაა, მეცხრე კლასის მოსწავლეა.

პატარა დათოს განსაკუთრებულ გონიერებას პირველმა ბებიამ მიაქცია ყურადღება, მაგრამ როდესაც მან ამის შესახებ მის მშობლებსაც უთხრა, მათ გაიღიმეს, აზვიადებ, შენი რომ არის, იმიტომ გეჩვენებაო. მაგრამ ბებოს ხელში სხვა შვილიშვილებსაც გაევლოთ და მან კარგად იცოდა, რომ არაფერიც არ ეჩვენებოდა. დედა და მამა კი კვლავაც თვლიდნენ, რომ ჩვეულებრივი ბიჭი ჰყავდათ და სულაც არ უკვირდათ, როცა ის ერთი წაკითხვით იმახსოვრებდა კარგა მოზრდილ ქართულ, სომხურ, რუსულ ლექსებს, როცა სულ ადვილად, ერთი დანახვით ისწავლა ჭადრაკისა და ნარდის სვლები. მაშინღა შეფიქრიანდნენ, როცა სკოლიდან დაბრუნებული პირველკლასელი დათო უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა, რა არის, სულ მარტივი

რიცხვების მიმატება-გამოკლებას გვასწავლიან, მე კი უფრო დიდ რიცხვებზეც შემიძლია ანგარიშიო. შეამოწმეს და გაოცდნენ – იმას, რასაც მამა გამომთვლელ მანქანაზე ანგარიშობდა, შვილი წამში ზეპირად პასუხობდა, თანაც გაუცნობიერებლად კი არა, გონებაში ანგარიშობდა და ისე. მერე კი, როცა გაირკვა, რომ დათოსთვის რიცხვების ამა თუ იმ ხარისხში აყვანაც სულ იოლი რამ იყო, უფროსები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მისთვის პირველ კლასში სწავლა მართლა უინტერესო და მოსაბეზრებელი იქნებოდა. პირველად მათემატიკის მასწავლებელმა შესთავაზა ბიჭის მშობლებს, იქნებ ორი კლასის პროგრამა ექსტერნად ჩააბარებინონ და „გადაახტუნონო". პირველ კლასში ეს არ მოხერხდა, სამაგიეროდ, მეოთხეკლასელი დავით კოსაკიანი რუსთავის განათლების განყოფილების შუამდგომლობითა და რეკომენდაციით განათლების სამინისტროში მიიწვიეს, სადაც სპეციალურმა კომისიამ მრავალმხრივი გამოცდა ჩაუტარა. მერვე-მეცხრეკლასელებს რომ მოეთხოვებათ პასუხების ცოდნა, ისეთი კითხვები დაუსვეს. დათომ ისიც იცოდა, თუ რატომ ჟანგდება რკინა, რომელია უმაღლესი წერტილი დედამიწაზე, რა ტემპერატურაა მზის შიგნით და მის ზედაპირზე, რა მანძილითაა დაშორებული ერთმანეთისგან ესა თუ ის პლანეტები, რომელია მსოფლიოს ათი უდიდესი ქალაქი და ა.შ. დათოს ზუსტი და სრულფასოვანი პასუხების და აგრეთვე ვექსლერის გონებრივი განვითარების ცენტრის ტესტის მეშვეობით დადგენილი მისი ძალზე მაღალი ინტელექტუალური კოეფიციენტის (IQ 125) საფუძველზე გადაწყდა, პირდაპირ მეშვიდე კლასში დაესვათ იგი. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ შეიძლებოდა დათოს და მასზე სამი წლით უფროსი თანაკლასელების ფიზიკურ განვითარებას შორის არსებულ სხვაობას რაიმე უსიამოვნება გამოეწვია, მშობლებმა ამჯობინეს, რომ მათ შვილს მეექვსე კლასში გაეგრძელებინა სწავლა და საბოლოოდ განათლების მინისტრის სპეციალური ბრძანებით 10 წლის დავით კოსაკიანი მეექვსე კლასში „გადახტა". დღეს დათო რუსთავის მე-3 რუსული საშუალო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეა და კვლავაც ძალიან ადვილად სწავლობს ყველა საგანს. ის პროგრამა, რასაც მისი თანაკლასელები ახლა გადიან, დათომ რამდენიმე წლის წინ დამოუკიდებლად აითვისა, ის კი არა, მას უკვე მეთერთმეტე კლასის პროგრამაც ნასწავლი აქვს. დათო ყველა საგანში ერთნაირად ძლიერია, გამორჩეულად კი მათემატიკა, ფიზიკა, ისტორია, გეოგრაფია და ქართული ლიტერატურა უყვარს (სხვათაშორის დათომ ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსნის" 30 ტაეპი). ახლახან საქართველოს სკოლების მეცხრეკლასელთა შორის ჩატარებულ ფიზიკის კონკურსში დათო საუკეთესო აღმოჩნდა და კიდევ ერთხელ გააკვირვა ყველა – ისეთ კითხვებზე გასცა სწორი პასუხები, მასზე ბევრად უფროსებსაც რომ გაუჭირდებოდათ. დათოს მრავალმხრივი ცოდნა სხვებს უკვირთ, თორემ თვითონ მას მიაჩნია, რომ როცა ადამიანს, დიდი იქნება ის თუ პატარა, რაღაც-რაღაცები აინტერესებს, შეუძლია წიგნებში, საცნობარო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში, კერძოდ კი ეციკლოპედიებში ამოიკითხოს ამის შესახებ. თვითონ მესამე კლასში იყო, როცა საქართველოს ისტორიით დაინტერესდა, ორი კვირა მხოლოდ საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილ წიგნებს უჯდა და ყველაფერი გაიგო, რაც აინტერესებდა. შეძენილი ცოდნით წახალისებულმა დათომ გადაწყვიტა ბედი ეცადა „რუსთავი-2"-ის სატელევიზიო გადაცემაში „ვის უნდა ოცი

გაგრძელება მე-6 გვ.

ათასი". მის მიერ შევსებული ანკეტის საფუძველზე დათო კოსაკიანი ბავშვებისთვის განკუთვნილ საახალწლო გათამაშებაში მიიწვიეს. რუსთაველმა ყმაწვილმა ბევრ რთულ კითხვას გასცა პასუხი და 1500 ლარიც დაიმსახურა. მთელი ეს თანხა დათომ ფოკას დედათა მონასტერთან არსებულ ბავშვთა სახლს გადაურიცხა. დათო კოსაკიანის ფენომენით დაინტერესებულმა ტელეკომპანია „რუსთავი-2"-მა ცალკეც მიიწვია ის თავისთან და სპეციალური ტესტი შესთავაზა. ტესტირებამ, რომელსაც დუტა სხირტლაძე უძღვებოდა, კიდევ ერთხელ დაადასტურა ბიჭის განსაკუთრებული ნიჭიერება და ინტელექტის გამორჩეული დონე. დათომ ისეთი კითხვების 90 პროცენტზე გასცა სწორი პასუხები, რომლებსაც „ვის უნდა 20 ათასის" სამიათასლარიანი ზონა ითვალისწინებდა. რუსთაველი ვუნდერკინდით აღფრთოვანებულმა დუტამ მასთან ერთად გადაღებულ სურათს ასეთი სიტყვები წააწერა: „დიდი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით, ჩემს გენიოსს, გენაცვალე ძმაო, ტაკ დერჟატ!" გარდა ამისა, დუტამ დათოს მობილური ტელეფონიც გადასცა.

კოსაკიანების ოჯახში უკვე არსებობს საგანგებო საქაღალდე, რომელშიც დათოს მიერ მოპოვებულ სიგელებს თუ დიპლომებს ინახავენ. აქ უკვე არის მის მიერ ფიზიკის, ბიოლოგიის, მათემატიკის რესპუბლიკურ ოლიმპიადებში, კონკურსებსა თუ კონფერენციებში მოპოვებული უმაღლესი ხარისხის ჯილდოები და მათ შორისაა I ხარისხის დიპლომი, რომელიც დათომ წელს მეცხრეკლასელთა ფიზიკის კონკურსში ერთპიროვნული გამარჯვებისა და მაქსიმალური რაოდენობის ქულების დაგროვებისათვის დაიმსახურა, აგრეთვე [illegible] მერვე კლასში მშობლიური სკოლის „საუკეთესო გეოგრაფის" სახელის დამადასტურებელი სიგელი და ა.შ. ეჭვი არ არის, რომ სულ მალე დათოს მზარდი წარმატებებიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ ოჯახში ბევრი მსგავსი საქაღალდის მომარაგება დასჭირდებათ.

ამჟამად დათო ნორჩ ფიზიკოსთა საერთაშორისო ტურში „(Brisbane Girls Grammar school") მონაწილეობისათვის ემზადება, რომელიც ავსტრალიაში უნდა გაიმართოს და მის ახლობლებს, მასწავლებლებსა და მეგობრებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ის იქაც ისახელებს თავს. ქართულის, სომხურის და რუსულის გარდა, დათო ახლავე კარგად ფლობს ინგლისურს (მისი დედა, ქალბატონი ნაირა ინგლისური ენის სპეციალისტი გახლავთ), ათვისებული აქვს კომპიუტერზე მუშაობისთვის აუცილებელი პროგრამები. დათო სპორტითაც არის გატაცებული, ერთხანს ბერძნულ-რომაული ჭიდაობის სექციაში დადიოდა, მაგრამ რადგან სექცია დაიხურა, ახლა ფეხბურთზე დადის. საერთოდ ფეხბურთი ძალიან უყვარს, შეუძლია საათობით უყუროს მატჩებს მსოფლიოს საუკეთესო გუნდების მონაწილეობით. მისი რჩეული გუნდი „მილანია", საუკეთესო მოთამაშე კი შევჩენკო.

დათო კოსაკიანი [illegible] ქ. რუსთავის მერიის სტიპენდიატია.

ნებისმიერ ნიჭს ყურადღება, ხელშეწყობა, ზრუნვა სჭირდება თუნდაც იმისთვის, რომ არ დაიკარგოს, იმისთვის, რომ განვითარდეს და ქვეყნის, ხალხის, საზოგადოების კეთილდღეობას, წინსვლას და განვითარებას წაადგეს. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ დათო კოსაკიანს გაუმართლა, მას არც ზრუნვა დაჰკლებია და არც ხელშეწყობა. ამიტომაც არის, რომ პირადად დათოც და მისი მშობლებიც დიდ მადლობას უხდიან ქალაქ რუსთავის მერს ბატონ მერაბ ტყეშელაშვილს, განათლების განყოფილების გამგეს ქალბატონ ეთერ ჭიპაშვილს და რუსთავის №3 საშუალო სკოლის დირექტორს ბატონ ვლადიმერ გირინს.

ოფიმხერი

ჭიამაია და ლოკოკინა

მთელი ღამე წვიმდა. შავ-შავი ღრუბლები ქარმა ჩრდილოეთისკენ ტაატით წაიღო. აჭიკჭიკდნენ მერცხლები. პეპლები თოვლის თეთრ ფიფქებად დაფარფატებდნენ, კალიები ხტუნაობდნენ. ჭიამაია აქეთ-იქით დაფრინავდა – ხან ალმასდაფრქვეულ ჯეჯილს მიაშურებდა, ხან აბიბინებულ ბალახს. ლოკოკინამ თავისი სახლიდან თავი გამოყო და ჭიამაიას ჰკითხა: რა ხდება? ჭიამაიამ უპასუხა: ჩვენ ყველანი ერთად შევიკრიბეთ და კონცერტს ვატარებთ. ლოკოკინამ ულვაშებში ჩაიცინა და სთხოვა, მეც მიმიღეთო. ჭიამაიამ კი გადაიკისკისა, შენ ხომ არც ცეკვა შეგიძლია და არც ხტუნვაო. ლოკოკინას თვალებზე ცრემლი ჩამოუგორდა და განაწყენებული თავის სახლში შეძვრა.

წყაროზე

დადგა ლამაზი გაზაფხული. მივდივარ სოფელში და აღტაცებას ვერ ვმალავ. ეზო ამწვანებული, აყვავებული და გალამაზებული მხვდება. ხეხილი თეთრადაა გადაპენტილი, მხოლოდ ატმის ყვავილს ასწითლებია ლოყები. წკმუტუნითა და კუდის ქიცინით მეგებება ჩემი ძაღლი ჯული.

ჩასვლისთანავე ხელში ჩაიდნებს ვიღებ და მივდივარ წყაროზე, რომელიც მოდუდუნე მტკვრის ნაპირზე მოჩუხჩუხებს. ერთი ჩაიდანი ავავსე და ვეებერთელა ლოდზე ჩამოვჯექი. ჯულიც ჩემ გვერდით იჯდა.

უცებ უცნაური ხმა მომესმა. ბუჩქებისკენ გავიხედე და რას ვხედავ: მელიას ჩაპუტკუნებული ქათამი დაეჭირა და მიარბენინებდა. ჯულიმ ყურები დაცქვიტა, კუდი აპრიხა და მელიას გამოუდგა. ძალიან იყოჩაღა, დაეწია მელაკუდას და ქათამი დააგდებინა. მელია კი კუდამოძუებული ბუჩქებს მოეფარა.

დაქანცული ჯული გვერდზე მომიჯდა და თვალებგაბრწყინებულმა შემომხედა. გულში ჩავიკარი და გაბრწყინებულ თვალებში ვაკოცე იმ საგმირო საქმისთვის, რაც მან ჩემ თვალწინ ჩაიდინა. მან ხომ ერთი სიცოცხლე იხსნა.

ნათია ტატიაშვილი
თბილისის მე-3 ქართული
გიმნაზია, VII კლასი.

ᲛᲝᲓᲘᲗ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ

ᲐᲛ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲚᲔᲑᲐ ᲗᲘᲗᲕᲘᲜᲗᲐᲜ, ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐᲗᲐᲜ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲛᲐ ᲒᲕᲐᲤᲘᲫᲠᲔᲑᲘᲜᲐ. ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲤᲣᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ; ᲒᲕᲘᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗᲐᲓ ᲕᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲗ, ᲕᲘᲛᲡᲯᲔᲚᲝᲗ, ᲕᲘᲙᲐᲛᲐᲗᲝᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲔᲖᲔ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲔᲖᲔ, ᲙᲔᲗᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲝᲠᲝᲢᲖᲔ, ᲖᲜᲔᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐᲖᲔ, ᲠᲐᲘᲜᲓᲝᲒᲐᲖᲔ, ᲛᲔᲛᲝᲒᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ, ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ-ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ, ᲩᲕᲔᲜᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲖᲔ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ, ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲕᲔᲪᲓᲘᲠᲝᲑᲗ, ᲒᲐᲛᲝᲒᲕᲔᲮᲛᲐᲣᲠᲔᲑᲘᲗ, ᲩᲐᲔᲑᲛᲔᲑᲘᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝᲓ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲗᲔᲛᲔᲑᲡᲐᲪ ᲒᲕᲘᲞᲐᲠᲜᲐᲮᲔᲑᲗ.

მიყვარს! მიყვარს! მიყვარს!

„ეკა მიყვარს! მიყვარს! მიყვარს! გაუმარჯოს სიყვარულს!“

ოთხი ძახილის ნიშანი და ხელმოწერა – კახა. მორჩა. მეტი არაფერი. აი, ასეთი უჩვეულო წერილიც მოგვიტანა ფოსტამ რედაქციაში. ჭეშმარიტად, კახა, გაუმარჯოს სიყვარულს, აგერ შენც რომ გწვევია და შეუდარებელი ბედნიერება განუცდევინებია.

სიყვარული ყველასთვის სხვადასხვაგვარია, ისევე როგორც სხვადასხვაგვარია ადამიანთა ბუნება, ხასიათი, სულიერი სამყარო, გემოვნება, წვევითაც ყველას სხვადასხვაგვარად და სხვადასხვა ასაკში ეწვევა. თქვენი თანატოლები იყვნენ რომეო და ჯულიეტა, თავდავიწყებით რომ შეიყვარეს ერთმანეთი, ბრძენი გოეთე კი სამოცდათოთხმეტი წლისა შეიპყრო 19 წლის ყმაწვილი ქალის სიყვარულმა.

უწმინდესია პირველი სიყვარული, უფრო ხშირად თქვენ ასაკში რომ ეწვევა ხოლმე ადამიანს, ძალზე ფაქიზი და ნაზი, თუმცა კი ბევრჯერ ძალზედ ძლიერიც და შეიძლება ერთადერთიც.

შეიძლება შენ სულ არ იცნობდი ამ გოგონას (თუ ბიჭს), არც არასოდეს გინახავს, მერე ერთხელაც ქუჩაში, კინოთეატრში, მეგობრის ოჯახში, გაიცნობ და... უჩვეულო რამ დაგემარება, რაღაც ისეთი, მანამდე რომ არ განგიცდია და სახელს რომ ვერ უძებნი; იბნევი, ღელავ, გული ძალუმად გიძგერს, გინდა სულ ხედავდე მას, სულ მასზე ფიქრობ.

შეიძლება პირიქით, ძალიანაც კარგად იცნობ მას, შენი კლასელი ან სკოლელი, მეზობელი ან შენი დის ან ძმის ამხანაგია. ერთი ჩვეულებრივი გოგო (თუ ბიჭი) გგონია, სხვებისგან რომ არაფერი გამოარჩევს. მაგრამ ერთხელაც რატომღაც სულ სხვა თვალით შეხედავ, შეხედავ და აღმოაჩენ, რომ საოცრად ლამაზი ღიმილი აქვს, რომ ყველაზე საინტერესო მოსაუბრეა, ყველაზე გონებამახვილია, ყველაზე... ერთი სიტყვით, ყველაზე უკეთესია და მაშინ ბედნიერების თრთოლვა აგიტანს. მერე შეიძლება შიშმა შეგიპყროს, არ იცი, როგორ მოიქცე, გაუმჟღავნო თუ არა მას შენი გრძნობა, ყოყმანობ, ეჭვი გღრღნის, ვაითუ, არ მოეწონო; სარკის წინ ტრიალს უმატებ, ჩაცმა-დახურვასაც მეტ ყურადღებას უთმობ, გაღიზიანებს ურჩი ქოჩორი და უშნო გამონაყარი სახის კანზე, სევდიანობ, მოულოდნელად ლექსების წერასაც კი იწყებ; აღარავინ და აღარაფერი გახსოვს მის გარდა...

„ჩვენ მეზობლები ვართ, ერთ კორპუსში ვცხოვრობთ. სულ ჩვეულებრივი გოგო მეგონა ხოლმე თიკო, ყურადღებას არც კი ვაქცევდი, ვესალმებოდი უბრალოდ და მორჩა. ამ შემოდგომაზე კი ერთი ჩემი კლასელის დაბადების დღეზე შევხვდით ერთმანეთს. რა თქმა უნდა, სახლში ერთად წამოვედით, ჩვენ მეზობლები ვართ. სულ სხვანაირი ყოფილა, სხვა გოგონებივით არ მეტიჩრობდა, ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა, მასაც ჩემსავით ძალიან ჰყვარებია მუსიკა, ჩოგბურთსაც თამაშობს, თურმე ინგლისურიც კარგად იცის. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რა სულელი ვარ, აქამდე როგორ ვერ შევამჩნიე, რა ლამაზი თვალები და თმები ჰქონია-მეთქი. ახლა მასზე უკეთესი გოგო მთელ თბილისში არ მეგულება. რაღაც უცნაური დამემართა, არ ვიცი... მინდა უფრო კარგი ვიყო, გადავწყვიტე.სერიოზულად ჩავუჯდე ინგლისურს, სპორტზეც ვივლი. კი-

გაგრძელება მე-8 გვ.

ოფოფსერი

ქართლოს მარხულიას ძალიან მოსწონს თავისი სახელი და მადლიერია მშობლებისა, ასეთი დიდებული სახელი რომ დაარქვეს. მარხულიების ოჯახი აფხაზეთიდან დევნილთა რიცხვს განეკუთვნება და დედა და მამა ყველანაირად ცდილობენ, რომ ბიჭს არ გაუნელდეს საკუთარი ფესვების სიყვარული. ქართლოსს ძალიან აინტერესებს საქართველოს ისტორია, ქართველ მეფეთა ცხოვრება. ბევრს კითხულობს შესაბამის ლიტერატურას. სულ პატარა იყო, როცა ჭადრაკით დაინტერესდა, ადვილად აუღო ალღო ამ ბრძნულ თამაშს. ასეთი ინტერესი რომ შეატყვეს, მშობლებმა ჭადრაკის წრეზე მიიყვანეს, ამირან მასწავლებელი ძალიან ემადლიერება გონიერ და შრომისმოყვარე მოსწავლეს და დიდ იმედსაც ამყარებს მასზე.

ქართლოსს ხატვაც უყვარს, კროსვორდებსაც სიამოვნებით ავსებს ხოლმე, ზოგჯერ თვითონაც ადგენს მათ. გარდა ამისა, იგი ლექსებს და ჩანახატებსაც წერს.

ამჟამად ქართლოსი ჯვარის №1 საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეა.

* * *

სამშობლოს

გელათი, ვარძია, იყალთო,
ალავერდი და გარეჯი,
მტერი რამდენი გეხვია,
გადაიბუგა მთა-ველი.

შოთა, თამარი, დავითი,
მხნე და ძლიერი ქართველი,
პატარა კახი გმირია,
მკლავში ძალა აქვს რამდენი.

წარსულს მივტირით, რადგანაც,
დღეს გმირი არის ნაკლები,
ეჰ, აფხაზეთო, ბედკრულო,
როდის გექნება საშველი?!



დევ მინდა, თიკოს ყურადღება დავიმსახურო, მაგრამ არ ვიცი, როგორ. ერთ ჩემს ძმაკაცს მოვუყევი ყველაფერი და ასე მითხრა, ე, ბიჭო, შეყვარებული ყოფილხარო. ალბათ მართლა ასეა... და თუ ასეა, რა კარგი ყოფილა სიყვარული...“ ამას უკვე 14 წლის გელა გვწერს და გვთხოვს მისი გვარი არ დავასახელოთ.

მიყვარს! მიყვარს! მიყვარს!

ახლა კი მოდით კიდევ ერთი წერილი წავიკითხოთ, ამჯერად გოგონასი: „ცამეტი წლის ვიყავი, როცა ჩემხელა ბიჭს სიყვარულში გამოვუტყდი. მან კი დამცინა, შეურაცხყოფა მომაყენა. მას შემდეგ სადაც შემხვდებოდა, ყველგან მამცირებდა. მერე კი შემირიგდა, ახლა გამარჯობასაც კი მეუბნება. დედას გეფიცებით, გულის ტკივილი დამჩემდა მას შემდეგ, რაც ეს ამბავი მოხდა. ასე მგონია, ყველა ჩემზე ლაპარაკობს, თვითონ გააგდო ამბავი ჭორად... ზოგჯერ ძალიან მინდა, ცოცხალი აღარ ვიყო...“ ეს ტკივილიანი წერილი საქართველოს ერთ-ერთი რაიონიდან გამოგვიგზავნა მისმა ავტორმა და ცხადია, ჩვენ არც მის ვინაობას ვასახელებთ. წერილს ერთი გოგონა აწერს ხელს, მაგრამ ალბათ სხვასაც ბევრს ეცნაურა მასში გადმოცემული პატარა ტრაგედია. გოგონას ფაქიზ სულში წმინდა გრძნობის პირველი გაუბედავი ღივი აღმოცენებულა, მაგრამ მისი თანატოლი ბიჭის მოუხეშავი სულის უგრძნობლობის მიზეზით მალევე დამზრალა, დაღუპულა. ალბათ ბევრი თქვენგანი (და უპირატესად ბიჭები) იტყვის, რა ექნა აბა, თუ არ მოსწონდა და არ უყვარდა ის გოგო? ცხადია, ძალას ვერავინ დაატანდა, გინდა თუ არა, უთანაგრძნე და სიყვარულითვე უპასუხე გამჟღავნებულ გრძნობასო, მაგრამ აქ უბრალოდ გრძნობის გაუზიარებლობაზე ხომ არ არის ლაპარაკი? ვინ იცის, რა ღირსებები აღარ მიაწერა გოგონამ თავისი გულის რჩეულ „რაინდს“, ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჭკვიანი, ყველაზე ზრდილი, ყველაზე ვაჟკაცური რომ იყო მისთვის. ლამაზი შეიძლება მართლაც არის ეს ყმაწვილი, იქნებ არც ჭკუა აკლია და არც ზრდილობა და მაინც თავი შეირცხვინა. კი, ბატონო, არ მოსწონდა ეს გოგონა, ვერ უთანაგრძნობდა მას, მაგრამ დაცინვა?! განა არ შეიძლებოდა უფრო ღირსეულად, ვაჟკაცურად მოქცეულიყო, ასე უხეშად არ გაექელა თანატოლის სათუთი გრძნობა?! გვერწმუნეთ, იმაში, რომ თუ გოგონა პირველი გამოგიტყდათ სიყვარულში, საძრახისი არაფერია. ერთხელაც იქნება, სიყვარული იმ ყმაწვილსაც ეწვევა, რომელმა მარტო იმიტომ დასცინა გოგონას, რომ ის თავის გრძნობაში გამოუტყდა, და უთუოდ მიხვდება, როგორი ტკივილი მიაყენა მას და ალბათ ინანებს. ალბათ, იმასაც შეიგნებს, რომ სიყვარულს, შენსასაც და სხვისასაც, გაფრთხილება უნდა.

მიჯი მაუსის იუბილე

75 წლის წინ გაჩნდა მსოფლიოს კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, ყველაზე იღბლიანი და ყველაზე შრომისმოყვარე მსახიობი, მაიკლ მორტიმერ მაუსი, რომელიც უფრო მიკი-მაუსის სახელით არის ცნობილი.

თავის დაბადებას მიკი მაუსი სამწუხარო ვითარებას უნდა უმადლოდეს: მისი მამა, ნიჭიერი ახალგაზრდა მულტიპლიკატორი უოლტ დისნეი უმუშევარი დარჩა.

დისნეიმ სახელი 1923 წელს გაითქვა, როდესაც თავის სტუდიაში დაიწყო სერიალ „ალისას საოცრებათა ქვეყნის“ გამოშვება. მაყურებელი სიამოვნებით უყურებდა ამ სერიალს, მაგრამ ნელნელა ინტერესი განელდა და სიახლის ძიებაში დისნეიმ ბაჭია ოსვალდის თავგადასავლების გადაღებას მოჰკიდა ხელი. უკვე ამ სერიალის 22 მულტფილმი იყო გამოშვებული, როდესაც ფილმების პროდიუსერმა, 26 წლის უოლტ დისნეის ისეთი მოთხოვნები წაუყენა, რომ ეს უკანასნელი იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა. ახალგაზრდა მულტიპლიკატორმა ნიუ-იორკი დატოვა და ლოს-ანჯელესში გაემგზავრა, სწორედ ამ მგზავრობის დროს, გზაში მოიგონეს უოლტერმა და მისმა ცოლმა ლილიანმა მიკი-მაუსი.

თავიდან არაფერი მიანიშნებდა იმაზე, რომ ეს წრუწუნა ვარსკვლავი გახდებოდა. ჯერ ერთი, მაშინ მას მორტიმერი ერქვა, მეორეც თავიდან ის ნაკლებად ჰგავდა იმ მიკი-მაუსს, რომელსაც დღეს ასეულ მილიონობით ადამიანი იცნობს, მესამეც – პირველი ფილმი მაუსის მონაწილეობით ჩაფლავდა. დიდი წარმატება არც მეორე ფილმს ჰქონია, მაგრამ დისნეის გული არ გაუტეხია – სტუდია დააგირავა და გადაიღო მესამე ფილმი „უილის გემი“, რომელიც 1928 წლის შემოდგომაზე აჩვენეს ნიუ-იორკის ერთ-ერთ კინოთეატრში. „უილის გემმა“ სენსაცია გამოიწვია, ეს ხომ ისტორიაში პირველი ხმოვანი მულტფილმი იყო! მაშინ მიკის თავად უოლტ დისნეი ახმოვანებდა.

ფილმის სანახავად უამრავი ხალხი მიდიოდა, კინოთეატრის სალაროებთან უსასრულო რიგები იდგა. თუმცა დიდ უმრავლესობას ძალიან მოსწონდა მიკი მაუსი, ისეთებიც მრავლად იყვნენ, ვისაც აღიზიანებდა დამცინავი, ბოროტი და ულმობელი წრუწუნა. საზოგადოებრიობის ზეწოლით მ. მაუსმა იმიჯი შეიცვალა და კეთილი და საყვარელი გახდა, მაშინვე დაიმკვიდრა მან სამუდამოდ სახელი – მიკი-მაუსი.



მიკი-მსახიობი დიდ ჭაპანწყვეტაში იყო. თუ დაბადების პირველ წელს ის 4 ფილმში გადაიღეს, მეორე წელს უკვე 11-ში და ა.შ. წლიდან წლამდე მიკის მულტსერიების რაოდენობა ზღაპრულად მატულობდა, 1933 წელს კი ეკრანებზე ერთბაშად 14 ფილმი გამოვიდა, რომლებშიც მიკი მაუსი მთავარ როლს ასრულებდა. იმავე წელს მიკიმ უმაღლესი კინოჯილდო „ოსკარი“ დაიმსახურა და ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი გახდა (მაშინ ჩვენი მულტგმირი 4 წლის გახლდათ). ამის შემდეგ სასაცილო წრუწუნა მიკი დისნეის სტუდიის მთავარ სახედ იქცა, მის ფილმებს ყველაზე მეტი შემოსავალი მოჰქონდა.

მიკის დიდებამ მწვერვალს 1940 წელს მიაღწია, როდესაც მან მთავარი როლი შეასრულა სრულმეტრაჟიან მულტპლიკაციურ ფილმში „ფანტაზია“. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის წლებში მიკის არც ერთი ახალი ფილმი არ ყოფილა გადაღებული, ის მაინც ყველგან იყო – ღია ბარათებსა და წინდებზე, რომლებსაც ამერიკელები ფრონტზე უგზავნიდნენ თავისიანებს. ბევრმა სამხედრო ნაწილმა მიკი თილისმად აირჩია და მისი გამოსახულებით დაიმშვენა საკუთარი ემბლემა. კომიქსების გმირად ქცეული წრუწუნა ვაჟკაცურად ებრძოდა მტერს, მილიონიანი ტირაჟებით გამოცემულ პლაკატებზე გამოსახული მიკი პატრიოტიზმისკენ მოუწოდებდა ამერიკელებს.

დამთავრდა ომი და მიკი მაუსის ფილმების გადაღებაც განახლდა, თუმცა, დისნეიმ ახალი გმირებიც შემოიყვანა მულტიპლიკაციაში – დონალდი, დაკი, პლუტო და სხვები, რომლებმაც თანდათან დაჩრდილეს წრუწუნა მიკი და ხალხის საყვარელ მულტპერსონაჟებად იქცნენ. 1953 წელს გამოვიდა უშუალოდ დისნეის მიერ შექმნილი ბოლო ფილმი მიკი მაუსის მონაწილეობით „უბრალო რამეები“.

მიკი მაუსის ეკრანებზე დაბრუნება დისნეის გარდაცვალებიდან ორი ათწლეულის შემდეგღა სცადეს (დისნეი 1966 წ. გარდაიცვალა). 1983 წელს მიკი ეკრანებზე გამოჩნდა დიკენსის ადაპტირებულ მოთხრობაში „საშობაო ზღაპარი“, ამას მოჰყვა ფილმი „უფლისწული და მათხოვარი“, რომელშიც მან უფლისწულიც ითამაშა და მათხოვარიც. მომდევნო ფილმებში დისნეისეული წრუწუნა მხოლოდ ეპიზოდურ როლებში ჩანდა. თუმცა 1953 წელს მიკი-მაუსი ფაქტობრივად პენსიაში გავიდა, იგი უქმად არ მჯდარა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე შეექმნა ჟურნალი Mickey mouse Magazine, რომელიც დღემდე გამოდის, 1929 წელს დაარსდა მიკი-მაუსის კლუბი, რომელსაც აშშ-ს ყველა შტატში ჰქონდა განყოფილებები და რომელსაც ძალიან დიდი შემოსავალი მოჰქონდა. გარდა ამისა, სხვადასხვა არხზე მიკის უამრავი ტელეშოუ მიჰყავდა. დისნეისეული სტუდიის თემატური პარკების: დისნეილენდის (გაიხსნა 1955 წ.), დისნეი უორლდის, პარიზის ევროდისნეის, ტოკიოს დისნეილენდის მთავარი გმირიც ხომ ისევ და ისევ მიკი მაუსია.

მართალია, კარგა ხანია, მიკი-მაუსს ფილმებში აღარ იღებენ, მაგრამ ადამიანებს, რომლებიც სიამოვნებით ყიდულობენ მიკის გამოსახულებიან ღია ბარათებს, სამკერდე ნიშნებს, წიგნებსა თუ ვიდეოკასეტებს, ეს ნაკლებად აინტერესებთ. ამ მულტგმირს ჯერ მარტო თავისი არსებობით კვლავაც მილიონობით დოლარი მოაქვს სტუდიისთვის. მარტო პირველ დისნეილენდში 1955 წლიდან დღემდე გაიყიდა 13 მილიონი წყვილი „მიკისნაირი“ ყური!

მიკი-მაუსი დღესაც უოლტ დისნეის წყალობით კომპანია Walt-disney მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მედიაიმპერიად, თავად მიკი კი მთელი ამერიკული მულტიპლიკაციის სიმბოლოდ რჩება.

დღეს, როდესაც მსოფლიო მიკი-მაუსის 75 წლისთავს აღნიშნავს, ყველა იხსენებს დისნეის სიტყვებს მისივე იმპერიის შესახებ: „იმედია, ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ, რომ ყოველივე ამას სათავე წრუწუნამ დაუდო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოჰეჩუ შეჯერი (ეშე)

ფანტასტიკური მოთხრობა

მისტერ დი მოხერხებულ სავარძელში იჯდა და ისვენებდა, მუხლებზე საღამოს გაზეთები ეწყო. განცხრომით ეწეოდა ჩიბუხს და თან ფიქრობდა, რა მშვენიერია ეს სამყაროო. დღეს ორი ავგაროზი და სიყვარულის თილისმა გაყიდა. მისი ცოლი სამზარეულოში ტრიალებდა, გემრიელ ვახშამს ამზადებდა. ჩიბუხი კარგად გაღვივდა. მისტერ დიმ დაამთქნარა და ერთი გემრიელად გაიზმორა.

წიგნებით დატვირთულმა ცხრა წლის ბიჭმა მორტონმა საქმიანი იერით ჩაუარა მამას.

– აბა, როგორ არის სკოლაში საქმეები? – დაინტერესდა მისტერ დი.

ბიჭუნამ ოდნავ შეანელა ნაბიჯი, მაგრამ არ გაჩერებულა და უპასუხა:

– ყველაფერი რიგზეა.

– რა არის ეგ, რა მიგაქვს? – ჰკითხა მისტერ დიმ და თავით წიგნების მოზრდილ დასტაზე ანიშნა.

– არაფერი, ისე, – სასხვათაშორისოდ უპასუხა მორტონმა, ისე რომ მამისთვის არ შეუხედავს და თავის ოთახში გაუჩინარდა.

მისტერ დიმ თავი გადააქნია. ვერ გამიგია, რატომ გაიტაცა ბიჭი ბუღალტერიამ, რატომ გაუჩნდა ბუღალტრობის სურვილი?! რაც მართალია, მართალია – მორტონს ანგარიში ეხერხება. მაგრამ ეს სისულელე თავიდან უნდა ამოიგდოს. მას გაცილებით დიდი საქმეები ელის.

კარზე დარეკეს.

მისტერ დიმ სასწრაფოდ ჩაიტანია ხალათი შარვალში, ქამარიც მაგრად შემოიჭირა და კარის გასაღებად გაემართა. ზღურბლზე მისი მეოთხეკლასელი ვაჟიშვილის მასწავლებელი იდგა.

– მობრძანდით, მის გრიბ, – შეიპატიჟა დიმ, – რითი გაგიმასპინძლდეთ?

– არა მცალია, – მიუგო მის გრიბმა.

მასწავლებელმა ხელები თეძოებზე შემოიწყო და კარებშივე გაჩერდა.

ჭაღარა, გაბურძგნული თმის, გამხდარი სახის, გრძელი ცხვირის და გაწითლებული თვალების გამო ალქაჯს ჰგავდა.

თუმცა სხვანაირად ვერც იქნებოდა, რადგან მის გრიბი მართლა ალქაჯი გახლდათ.

– თქვენს ვაჟიშვილზე სალაპარაკოდ მოვედი, – გამოაცხადა მან.

ამ სიტყვებზე სამზარეულოდან წინსაფარზე ხელების წმენდით მისის დი გამოვარდა.

– იმედია, არაფერი დაუშავებია? – შეშფოთებით იკითხა მისის დიმ.

მის გრიბმა ავისმომასწავებლად ჩაიფრუტუნა:

– მე დღეს წლიურ ჩათვლას ვატარებდი. თქვენი შვილი სამარცხვინოდ ჩაიჭრა.

– გემუდარებით, – მისის დიმ ხელები გულთან მიიტანა, – გაზაფხულია და ალბათ...

ბუღალტერი

– გაზაფხული არაფერ შუაშია, – შეაწყვეტინა მის გრიბმა. – გასულ კვირას ბავშვებს დავალება მივეცი: ზეპირად უნდა ესწავლათ დიდი კორდუსის ჯადო სიტყვები, პირველი ნაწილი. ხომ იცით, რა ადვილიცაა ეს სიტყვები. მორტონს არც ერთი მათგანი არ დაუსწავლია.

– ჰმ, – თავშეკავებით ჩაიბურტყუნა მისტერ დიმ.

– არც ბიოლოგიაში აქვს უკეთესად საქმე. უმნიშვნელოვანეს ჯადო ბალახებზე მორტონს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა. წარმოდგენაც კი...

– დაუჯერებელია, – ხელები გაშალა მისტერ დიმ.

მის გრიბმა გესლიანად ჩაიხითხითა:

– უარესიც, მორტონს ის საიდუმლო ანბანიც აღარ ახსოვს, რომელიც მესამე კლასში ისწავლეს. დავიწყებული აქვს თავდასაცავი შელოცვის ჯადო სიტყვები, მესამე წრის 99 მცირე ჭინკის სახელები და დიდი ჯოჯოხეთის გეოგრაფიის ის მწირი მონაცემებიც კი, ადრე რომ იცოდა. მაგრამ ყველაზე უარესი ის გახლავთ, რომ მას საერთოდ არ უნდა სწავლა.

მისტერ დიმ და მისმა მეუღლემ უჩუმრად გადახედეს ერთმანეთს. საქმე მართლაც სერიოზულ სახეს იღებდა. გარკვეულ საზღვრებში ბიჭებისთვის დამახასიათებელი დაბნეულობა დასაშვები და მისაღები კია, რადგანაც მათში ნებისყოფის არსებობაზე მეტყველებს, მაგრამ თუ აპირებს ოდესმე ჭეშმარიტად დიდი ჯადოქარი გახდეს, ანა-ბანა ხომ მაინც უნდა იცოდეს.

– მიუკიბ-მოუკიბავად გეტყვით, – განაგრძო მის გრიბმა, – ადრე დაუფიქრებლად გავრიცხავდი თქვენს ბიჭს სკოლიდან, მაგრამ ახლა... ჩვენ ხომ ისედაც ასე ცოტანი დავრჩით.

მისტერ დიმ ნაღვლიანად დაუქნია თავი. საუკუნიდან საუკუნემდე ჯადოსნობა თანდათან კნინდებოდა. ძველი ოჯახები გადაშენების გზაზე იყო: ზოგი სატანური ძალების მსხვერპლი ხდებოდა, სხვები მეცნიერებაში მიდიოდნენ. ცვალებადი საზოგადოება კი ძველი დროის ჯადოსნობისა და გრძნეულობის მიმართ არავითარ ინტერესს არ იჩენდა. ამჟამად ცოტა ვინმეღა თუ ფლობდა უძველეს ხელოვნებას, ინახავდა მას და ასწავლიდა საკუთარ შთამომავლობას ისეთ დაწესებულებებში, როგორიც გრძნეულთა შვილებისთვის განკუთვნილი მის გრიბის სკოლა იყო. იგი უკანასკნელ ბასტიონად, რჩეულთა წმინდა მონაპოვრად იქცა.

– ყველაფერში ანგარიშწარმოების სახელმძღვანელოებია დამნაშავე, – გადაჭრით განაცხადა მის გრიბმა.

– ვერ გამიგია, სად დაეწაფა ამ სისულელეს! – იგი საყვედურით მიაჩერდა მისტერ დის – რატომ ჩანასახშივე არ ჩაუკლეს ეს.

მისტერ დიმ იგრძნო, როგორ აელეწა ლოყები.

– ერთი რამ დანამდვილებით ვიცი. ვიდრე მორტონს თავი ამ უმაქნისი სისულელით აქვს გამოჭედილი, მაგიას ვერ ეზიარება.

მისტერ დიმ თვალი აარიდა გაოფრთებულ ალქაჯს. ყველაფერში თვითონვეა დამნაშავე. ნეტავ რისთვის მოიტანა შინ საბავშვო კალკულატორი?! მაშინვე უნდა დაეწვა გროსბუხი, როგორც კი პირველად დაინახა, რომ მორტონი ორმაგ საბუღალტრო ჩანაწერობანას თამაშობდა. მაგრამ რა იცოდა, რომ ბიჭი ასე აიკვიატებდა ამ იდეას?

მისის დიმ წინსაფარი გაისწორა და თქვა:

– მის გრიბ, თქვენ ხომ იცით, როგორ გენდობით. თავად რას გვირჩევდით?

– ყველაფერი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, უკვე გავაკეთე, – გამოაცხადა მის გრიბმა. – სხვა არაფერი დაგვრჩენია, ბოარბასი – ბავშვთა დემონი უნდ გამოვიძახოთ. თუმცა ეს

გაგრძელება მე-11 გვ.

თქვენი გადასაწყვეტია.

– არა მგონია, ყველაფერი ასე შორს იყოს წასული, – ჩაილაპარაკა მისტერ დიმ. – ბოარბასის გამოძახება სახუმარო საქმე არ გახლავთ.

– აკი ვთქვი, თქვენი გადასაწყვეტია-მეთქი. – წარმოთქვა მის გრიბმა. – როგორც მოისურვებთ, ისე მოიქეცით, გინდ გამოიძახეთ ბოარბასი, გინდა არა, მაგრამ თუ კვლავაც ასე გაგრძელდა, თქვენს შვილს ჯადოქრობა არ უწერია.

მასწავლებელი შებრუნდა და წასასვლელად მოემზადა.

– ნუთუ ფინჯან ჩაიზე არ დარჩებით? – აწრიალდა მისის დი.

– არა, ვერ დავრჩები, კუდიანთა თემობას უნდა მივუსწრო ცინცინატიში, – მიუგო მის გრიბმა და ნარინჯისფერი კვამლის ბოლქვებში გაუჩინარდა.

მისტერ დიმ ხელის ქნევით გაფანტა კვამლი და კარი მიხურა.

– ფუ, – ამოისუნთქა მან, – რა უბედურებაა, ხომ შეეძლო არომატიზებული სახეობით ესარგებლა.

– ხომ იცი, როგორი ძველმოდურია. – ჩაილაპარაკა მისის დიმ.

ცოლ-ქმარი უხმოდ იდგა დახურულ კართან. მისტერ დიმ ახლაღა იგრძნო მათ თავს დატეხილი ახალი ამბის ძალი სიმძიმე. ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ მის ბიჭს, მის სისხლსა და ხორცს, არ სურს ოჯახის ტრადიციების გაგრძელება. შეუძლებელია!

– ვახშმის შემდეგ დაველაპარაკები, – როგორც იქნა ხმა ამოიღო მისტერ დიმ, – როგორც მამაკაცი მამაკაცს, ისე დაველაპარაკები და დარწმუნებული ვარ, დემონის ჩაურევლადაც მოვაგვარებთ საქმეს.

– კარგი, – თქვა მისის დიმ. – რა თქმა უნდა, შენ ყველაფერს შეაგნებინებ ბიჭს. – მან გაიღიმა და მისტერ დიმ შეამჩნია, როგორ გამოკრთა მის თვალებში აუწერელი ჯადოსნური ნათება.

– ვაიმე, ჩემი როსტბიფი! – შეიცხადა მისის დიმ. ნათება უმალ ჩაქრა. ქალი სამზარეულოში გაიქცა.

ვახშამმა მდუმარებაში ჩაიარა. მორტონმა იცოდა მის გრიბის სტუმრობის ამბავი და დამნაშავის გამომეტყველებით შეექცეოდა საჭმელს, ხანგამოშვებით კი მამისკენ გააპარებდა ხოლმე თვალს. საავდრო ცასავით მოქუფრულმა მისტერ დიმ ხორცი პატარა ნაჭრებად დაჭრა და სუფრაზე დადგა, მისის დის კი არც კი უცდია რაიმე საუბარი წამოეწყო.

ბიჭმა ჰაიჰარად გადაყლაპა დესერტი, ისე რომ მისი გემო არც კი გაუგია და თავის ოთახს მიაშურა.

– აი, ახლა კი ენახავთ, – გამოუცხადა მისტერ დიმ მეუღლეს. ყავა დალია, პირი მოიწმინდა და სუფრიდან ადგა. – ვეცდები, ჭკუაზე მოვიყვანო. ჩემი ჩაგონების თილისმა სად არის?

მისის დი წამით ჩაფიქრდა, მერე ოთახის მეორე ბოლოსკენ, წიგნების კარადისკენ გაემართა.

– აქ არის, – თქვა მან, და ჭრელყდიანი წიგნიდან თილისმა ამოიღო. – სანიშნად ვხმარობდი.

მისტერ დიმ თილისმა ჯიბეში ჩაიდო, ერთი ღრმად ამოისუნთქა და შვილის ოთახში შევიდა.

მორტონი მაგიდას უჯდა. წინ ციფრებით აჭრებელული რვეული ედო, ჭიქაში ექვსი კოხტადწვერწათლილი ფანქარი იდო, იქვე კი საშლელი, სანგარიშო და არითმომეტრი ეწყო. მაგიდის კიდეზე აკოკოლავებული წიგნების დასტა გადავარდნაზე იყო. მამამ წიგნები შეათვალიერა. რიმრაამერის „ფული“. ჯონსონისა და კალჰაუნის „საბანკო აღრიცხვის პრაქტიკა“. „ელმანის ეტიუდები დიპლომიანი ბუღალტრისთვის“ და კიდევ თორმეტამდე სხვა მსგავსი.

მისტერ დიმ ტანსაცმელი გაიხადა, მისწია და საწოლზე ჩამოსაჯდომი ადგილი მოიცალა.

– როგორ მიდის საქმეები, შვილო? – ჰკითხა მან ბიჭს უწყინარი ხმით.

– შესანიშნავად, მამა. – ცქვიტად უპასუხა მორტინმა, – „საბუღალტრო აღრიცხვის საფუძვლების“ მეოთხე თავამდე მივედი და ყველა კითხვაზე გავეცი პასუხი...

– შვილო...– ალერსიანი ხმით შეაწყვეტინა მისტერ დიმ, – მე გეკითხები, ძირითადი საშინაო დავალების საქმე როგორა გაქვს-მეთქი?

მორტონი დაიღრიჯა და სკამზე აწრიალდა.

– ახლანდელ დროში, თანაც შენს სკოლაში, იშვიათად რომ რომელიმე ბიჭს ეღირსოს ჯადოქრად გახდომის შესაძლებლობა.

– კი, ვიცი, – მორტონმა მამას მზერა აარიდა და წვრილი, გაღიზიანებული ხმით უპასუხა: – კი, მაგრამ, მე მინდა ბუღალტერი გავხდე, ძალიან, ძალიან მინდა.

მისტერ დიმ თავი გადააქნია. თვრამეტი ასწლეულის მანძილზე ჩვენს ოჯახში ყველა ჯადოქარი იყო. იმქვეყნად ჩვენი ოჯახი საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა.

მორტონი ისევ ფანჯარაში იყურებოდა და მოუსვენრად ტრიალებდა სკამზე.

– შენ ხომ არ გინდა, რომ გული მატკინო, შვილო? – ნაღვლიანად გაუღიმა მისტერ დიმ. – იცი, ბუღალტრობა ყველას შეუძლია, შავი მაგიის დაუფლება კი მხოლოდ რჩეულ უმცირესობას ძალუძს.

მორტონმა ფანჯარას თვალი მოწყვიტა, შემობრუნდა, ფანქარი აიღო, მის წვერს მიაჩერდა და თითებში ნელ-ნელა აატრიალა.

– აბა, რას იტყვი, იმუშავებ თუ არა რიგიან-პირიანად, რათა მის გრიბს ასიამოვნო?

მორტონმა თავი გააქნია:

– მე მინდა ბუღალტერი გავხდე.

მისტერ დიმ ძლივს შეიკავა თავი, რათა არ გაცოფებულიყო. ჩაგონების თილისმას რაღა მოუვიდა, დავიჯერო, ძალა გამოელია? ჯერ უნდა დამეტენა... – ფიქრობდა ის, თუმცა დათმობას მაინც არ აპირებდა.

– მორტონ, – გააგრძელა მისტერ დიმ ხრინწმორეული ხმით, – შენ კა-

გაგრძელება მე-12 გვ.

დასაწყისი მე-10 გვ.

რგად იცი, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ მესამე კატეგორიის ადეპტი ვარ. ჩემი მშობლები ძალზე ღარიბები იყვნენ, საიმისო ფული არ ჰქონდათ, რომ უნივერსიტეტში გავეგზავნე სასწავლებლად.

– ვიცი, – ჩაიჩურჩულა ბიჭმა.

– მე მინდა, რომ შენ გქონდეს ყველაფერი, რაც მე დამაკლდა. მორტონ, შენ შეგიძლია პირველი კატეგორიის ადეპტი გახდე, – მამამ ნაღვლიანად გააქნია თავი. – ძნელი იქნება, მაგრამ მე და დედაშენს რაღაც დანაზოგი გვაქვს, დანარჩენსაც რაღაცნაირად მოვუყრით თავს.

მორტონი ტუჩებს იკვნეტდა და ხელში კვლავინდებურად ფანქარს ათამაშებდა.

– იცი, შვილო, პირველი კატეგორიის ადეპტს მაღაზიაში მუშაობა არ მოუხდება. შენ შეგიძლია ბნელ ძალთა ნების პირდაპირი აღმსრულებელი გახდე. პირდაპირი აღმსრულებელი! აბა, რას იტყვი, ჩემო ბიჭო?

მისტერ დის წამით მოეჩვენა, რომ მისმა სიტყვებმა გაჭრა, ბიჭმა ბაგე გახსნა, თვალებიც საეჭვოდ გაუნაოდა. მაგრამ მერე მორტონმა საბუღალტრო აღრიცხვის სახელმძღვანელოებს, პატარა საანგარიშოს, სათამაშო არითმომეტრს გადახედა...

– მე მინდა ბუღალტერი გავხდე, – ჯიუტად გაიმეორა მან.

– მაგასაც ვნახავთ! – შესძახა მოთმინებადაკარგულმა მისტერ დიმ. – შენ ბუღალტერი არ იქნები, ყმაწვილო, შენ ჯადოქარი გახდები, რადგან ამ ხელობას მთელი ჩვენი ოჯახი მისდევდა, ვფიცავ ყველაფერს, რისი შეჩვენებაც შეიძლება, რომ შენც გაგრძელებ ტრადიციას. მე შენ გიჩვენებ, ყმაწვილო! – ამ სიტყვებით მისტერ დი ოთახიდან გამოვარდა.

მორტონი უმალ თავის საბუღალტრო სახელმძღვანელოებს მიუბრუნდა.

მისტერ დი და მისი ცოლი ხმის ამოუღებლად ისხდნენ დივანზე. მისის დი გულმოდგინედ ქსოვდა ქუდის თასმას, ფიქრებით კი სადღაც შორს იყო. მისტერ დი ხალიჩაზე გაჩენილ ნახვრეტს მისჩერებოდა.

ბოლოს როგორც იქნა ამოღერღა:

– მე გავათამამე ჩემი შვილი. სხვა გზა არ არის, ერთადერთი გამოსავალი ბოარბასია.

– არა, რას ამბობ, – პირში ეცა მისის დი, – ის ხომ ჯერ ასე პატარაა!

– ერთი მითხარი, გინდა, რომ შენი შვილი გაიზარდოს და მთელი სიცოცხლე უმაქნისი ციფრების გამოყვანით იყოს დაკავებული? თუ გინდა, რომ ის ბნელი ძალების დიდმნიშვნელოვან საქმეს ასრულებდეს?

– ცხადია, არა, – ჩაილაპარაკა მისის დიმ. – მაგრამ ბოარბასი...

– ვიცი. მე ისედაც ავაზაკად ვგრძნობ თავს.

ორივე დადუმდა და ფიქრს მიეცა. მერე მისის დიმ შესთავაზა:

– იქნებ დახმარებისთვის პაპამისისთვის მიგემართა? მას ყოველთვის უყვარდა ბიჭი.

– რა ვიცი, აბა, იქნებ მართლაც ჯობდეს, – ყოყმანით დაეთანხმა ცოლს მისტერ დი. – მაგრამ არ ვიცი, ღირს კი მისი შეწუხება. მოხუცი ხომ სამი წელია რაც მოკვდა.

– მახსოვს. – დაეთანხმა მას მისის დი და უხეიროდ ამოქსოვილი თვლები გამოარღვია, – მაგრამ სხვა არჩევანი რომ არა გვაქვს, ან პაპა, ან ბოარბასი.

მისტერ დიმ თავი დაუქნია. როგორც არ უნდა შეწუხდეს მორტონის პაპა, ბოარბასი გაცილებით უარესია და მისტერ დი დაუყოვნებლივ შეუდგა სამზადისს თავისი განსვენებული მამის გამოსახმობად.

შეაგროვა ლენცოფა, კონიო, დანაყილი მარტორქის რქა და დრაკონის კბილის ნატეხი.

– ჩემი კვერთხი სად არის? – ჰკითხა მან ცოლს.

– გოლფის სათამაშო ჯოხებთან ერთად ჩავდე ტომარაში. – უპასუხა მისის დიმ.

მისტერ დიმ კვერთხი ამოიღო და რამდენჯერმე მოიქნია, ერთად დაწყობილ ინგრედიენტებს შეამოატარა თავზე, გამოხსნის სამი სიტყვა წარმოთქვა ჩურჩულით და მამამისი გამოიხმო.

ხალიჩის თავზე უმალ კვამლი აიკლაკნა.

– გამარჯობათ, პაპა დი, – ჩაილაპარაკა მისის დიმ.

– მამა, მაპატიე, რომ სიმშვიდე დაგირღვიე, – უთხრა მისტერ დიმ. – მაგრამ ჩემი შვილი – შენი შვილიშვილი უარს ამბობს, ჯადოქრობა არ მინდა... ბუღალტერი უნდა გამოვიდეო.

კვამლის სვეტი შეკრთა, მერე გასწორდა და ჰაერში ძველი ცხაურის ნიშანი გამოსახა.

– კი, – თქვა მისტერ დიმ. – ვცადეთ დარწმუნების მეთოდი, ვცადეთ, მაგრამ მასზე ამან არ გაჭრა.

კვამლი კვლავ დაიკლაკნა და ახლა სხვა ნიშანი გამოსახა.

– მე მგონი, ყველაფერს ეგ აჯობებს, – თქვა მისტერ დიმ. – თუ შეაშინებ, მორტონი თავიდან ამოიგდებს მთელ ამ ბუღალტრულ სისულელეს. კი, ეს სისასტიკეა, მაგრამ ბოარბასის გამოხმობას მაინც ჯობს.

კვამლის სვეტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და კლაკვნით გაემართა ბიჭის ოთახისკენ. მისტერ დი და მისი ცოლი დივანზე ჩამოსხდნენ.

ბიჭის ოთახის კარი ხმაურით გაიღო, გეგონებოდათ, ძლიერმა ქარმა დაუბერაო. წიგნებს ჩაჩერებულმა მორტონმა თავი აიღო, შუბლი შეიჭმუხნა და ისევ წიგნებს მიუბრუნდა.

კვამლის სვეტი ფრთებიან ლომად გადაიქცა. ურჩხულმა გამაყრუებლად დაიღრიალა, მიწაზე დაეშვა და ნახტომისთვის მოემზადა.

მორტონმა ერთი კი შეხედა, გაკვირვებით აზიდა წარბები და ისევ გაგრძელა ციფრების წერა.

ლომი უზარმაზარ სამთავიან ხვლიკად გადაიქცა და პირიდან ცეცხლის ფრქვევით გაემართა ბიჭისკენ.

მორტონმა ციფრების გამრავლება დაამთავრა და ხვლიკს ახედა.

ხვლიკმა ერთი საზარლად დაიკივლა და ვეება ღამურად გადაიქცა. ფრთების ფართხუნით და ღმუილით ტრიალებდა ბიჭის თავზე.

მორტონმა ჩაიცინა და თავის წიგნებს მიუბრუნდა.

მისტერ დის მეტის ატანა აღარ შეეძლო, გაგიჟებული წამოვარდა ადგილიდან.

– დალახვროს ეშმაკმა, – დაიყვირა მან, – ნუთუ არ გეშინია?

– ვითომ რატომ უნდა მეშინოდეს? – გაიკვირვა მორტონმა. – ეს ხომ პაპაჩემია!

ამის შემდეგ ღამურისაგან კვამლის შლეიფიღა დარჩა. მან ნაღვლიანად დაუკრა თავი მისტერ დის, დაემშვიდობა მისის დის და ჰაერში გაქრა.

– ნახვამდის, პაპა. – ჩაილაპარაკა მორტონმა, ადგა და კარი მიხურა.

– მორჩა, კმარა. – გამოაცხადა მისტერ დიმ. ბიჭს თავში აუვარდა.

გაგრძელება მე-13 გვ.

დასაწყისი მე-10 გვ.

სხვა გზა არ არის, ბოარბასს უნდა მივმართო.

– არავითარ შემთხვევაში!

– სხვა რაღა დაგვრჩენია, მითხარი?!

– წარმოდგენა არა მაქვს. – გამოტყდა ცრემლმორეული მისის დი. – შენ ხომ იცი, რასაც უშვრება ბოარბასი ბავშვებს. მასთან შეხვედრის შემდეგ ისინი გონზე ვეღარ მოდიან ხოლმე.

მაგრამ მისტერ დი შეუვალი იყო.

– ვიცი, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს.

– ჩვენი ბიჭი ჯერ ისე პატარაა! – აკრუსუნდა მისის დი. – მისთვის ეს... მისთვის ეს ისეთი ტრავმა იქნება!

– მაშინ ჩვენი მის განსაკურნებლად თანამედროვე ფსიქოლოგიის ყველა ძალას დავიხმარებთ, – დაამშვიდა ცოლი მისტერ დიმ. – ფულს არ დავიშურებთ, საუკეთესო ფსიქოანალიტიკოსებს მივმართავთ. ჯადოქარი კი ჩვენი ბიჭი აუცილებლად გახდება!

– რა გაეწყობა, გააკეთე შენი ავი საქმე, – წაიჩურჩულა ატირებულმა მის დიმ. – ოღონდ იცოდე, ჩემი დახმარების იმედი არ გქონდეს.

„ქალებმა ყოველთვის ასე იციან, გაიფიქრა მისტერ დიმ. – სწორედ მაშინ იხევენ უკან, როცა სიმტკიცის გამოჩენაა საჭირო“.

მისტერ დი შეუდგა სამზადისს ბოარბასის, ბავშვთა დემონის გამოსახმობად.

ჯერ გულმოდგინედ უნდა დაეხაზა ხუთკუთხედი თორმეტქიმიანი ვარსკვლავით, შიგ კი – უსასრულო სპირალი. ამის შემდეგ ბალახების და ელექსირის რიგი იდგა – ყოველივე ამან დიდი ხარჯი კი მოითხოვა, მაგრამ ჯადოქრობა – მისნობის საქმეში უამისობა მაინც არ იქნებოდა. ამის შემდეგ თავდაცვის გრძნეული სიტყვები უნდა დაეწერა, რათა ბოარბასს თავი არ აეხსნა და ყველა არ მოესპო. ახლა ჰიპოგრიფის-ნისკარტფრთის სისხლის სამი წვეთის დამატებაღა რჩებოდა.

– სად არის ჩემი ჰიპოგრიფის სისხლი? – ჰკითხა მისტერ დიმ ცოლს და სასტუმრო ოთახში მდგარი კომოდის უჯრებში ქექვას მოჰყვა.

– სამზარეულოში, ასპირინის ფლაკონში, – უკარნახა მისის დიმ ცრემლების წმენდით.

დიმ მიაგნო ფლაკონს, აანთო შავი სანთლები და გამონთავისუფლების გრძნეული სიტყვები წაიმღერა.

ოთახში უცბად ჩამოცხა. დადგა ბოლო ეტაპი – სახელის წარმოთქმა.

– მორტონ, – უთხრა მისტერ დიმ, – მოდი აქ.

ბიჭმა კარი გააღო. სულ პატარა და დაუცველი ჩანდა, გულზე საბუღალტრო აღრიცხვის სახელმძღვანელოები ჰქონდა ჩაკრული.

– მორტონ, ბავშვების დემონის გამოძახებას ვაპირებ. ნუ გამაკეთებინებ ამას, შვილო.

ბიჭი გაფითრდა და მოიკუნტა, კარს აეკრა. მაგრამ მაინც ჯიუტად გააქნია თავი.

– რას იზამ, – თქვა მისტერ დიმ. – ბოარბას! გაისმა გამაყრუებელი ქუხილი, მოვარდა ცხელი ტალღა და ბოარბასიც გამოცხადდა, სიმაღლით ჭერამდე იყო, ავად ხარხარებდა.

– ა-ა! – დაიღრიალა ბოარბასმა, ისე, რომ ოთახში ყველაფერი აზანზარდა. – პატარა ბიჭი!

მორტონს შიშისგან ქვედა ყბა ჩამოუვარდა და თვალები დაუმრგვალდა.

– საძაგელი ბიჭი, – თქვა ბოარბასმა, კვლავ გადაიხარხარა და წინ დაიძრა. მის ყოველ ნაბიჯზე მთელი სახლი ირყეოდა.

– უკანვე გაუშვი! – დაიყვირა მისის დიმ.

– არ შემიძლია, – ხმა გაუწყდა მისტერ დის. – მე ვერაფერს მოვიმოქმედებ, სანამ ის ყველაფერს არ მორჩება.

დემონმა ბრჭყალებიანი თითები მორტონისკენ გაიწოდა. მაგრამ ბიჭმა სასწრაფოდ გაშალა საბუღალტრო აღრიცხვის წიგნი და შესძახა:

– მიშველე, გადამარჩინე!

და იმავ წამს გაჩნდა მაღალი ხმელხმელი მოხუცი, მკაცრი ყაიდის კოსტიუმი ეცვა, ბუღალტრებს რომ ეცვათ ხოლმე, ისეთი, მთელ ტანზე წვერწათლილი ბუმბულის კალმები და დიდი საბუღალტრო წიგნის ფურცლები ჰქონდა აჩონჩხლილი; თვალების ნაცვლად ნულები ჰქონდა.

– ზიკო – პიკო – რილ! – წაიმღერა ბოარბასმა და სტუმართან შესაბმელად მოემზადა.

მაგრამ გამხდარმა მოხუცმა, მკაცრად გამოაცხადა:

– კომპანიის ის კონტრაქტი, რომელიც ამის უფლებამოსილებას აღიმატება, არამცთუ გაუქმებას ექვემდებარება, არამედ მოკლებულია ლეგალურ იურიდიულ ძალას.

ახლად მოსული სტუმრის სიტყვებზე ბოარბასმა უკან დაიხია, ერთ-ერთ სკამს გადააწყდა, სკამმა ვერ გაუძლო ასეთ სიმძიმეს და გატყდა. დემონი ადგა, გაცოფებულს ტყავი წითლად უკარკარებდა, ხახა დააღო და მთავარი დემონური ჯადოსიტყვები წარმოთქვა:

– ვახტ-ჰათ-ჰო!

მაგრამ გამხდარი მოხუცი მორტონს გადაეფარა და ჯადოს გამქარვებელი სიტყვები წამოიძახა:

– დებეტი, კრედიტი, პროცენტი, ხურდა, პარტახი და სიკვდილი!

ტკივილისგან გამწარებულმა ბოარბასმა დაიგმინა და თავს უშველა. დაბნეული ხან რას გადააწყდა, ხან რას, ბოლოს როგორც იქნა, ხვრელს მიაგნო და გაუჩინარდა.

მაღალმა, გამხდარმა მოხუცმა ტანსაცმლიდან უხილავი მტვერი ჩამოიბერტყა და სასტუმრო ოთახის კუთხეში მიკუნტულ მისტერ დის და მის ცოლს მიუბრუნდა:

– მაშ ასე, იცოდეთ, – მე ბუღალტერი გახლავართ. ისიც გახსოვდეთ, რომ მოცემულმა ბავშვმა ხელშეკრულება დადო ჩემთან და დამემოწაფა, მეხმარება, მე კი გაწეული სამსახურის სანაცვლოდ ბუღალტერიის საიდუმლოებებს ვაზიარებ, და აი, ნახეთ, მას ჩემი დაღიც აზის!

ბუღალტერმა მორტონის მარჯვენა ხელი ასწია და მელნიანი საჩვენებელი თითი აჩვენა.

მერე იგი მორტონს მიუბრუნდა და კეთილი ხმით დასძინა:

– ხვალ, ჩემო ბიჭო, ჩვენ განვიხილავთ, თუ რა მარადიული ტანჯვისთვის არიან განწირულნი ისინი, ვინც საშემოსავლო გადასახადს არიდებენ თავს.

– არის, სერ, – ყოჩაღად უპასუხა მორტონმა.

ბუღალტერმა ერთი მკაცრად გახედა მისტერ დის და მის ცოლს.

დაძაბული სიჩუმე ჩამოვარდა. მერე მისტერ დი ცოლს მიუბრუნდა:

– რა გაეწყობა, თუ ბიჭს მაინცდამაინც ბუღალტრობა უნდა, მე გზაზე ვერ გადავეღობები.

„ათინათი“ სინათლის სხივს ნიშნავს

ქ-ნი თამარ ნათენაძე

ქ. თბილისის არასახელმწიფო საერო მრავალპროფილიანი სკოლა „ათინათი“, გლდანის რაიონში „ნათენაძის სკოლად“ რომ იცნობს ყველა, მუხიანის დასახლებაში 173-ე ბაგა-ბაღის შენობაში მდებარეობს, თამარ ნათენაძე კი გახლავთ მისი დამაარსებელი და დირექტორი, რომელსაც უსაზღვრო ღვაწლი და ამაგი აქვს სკოლისთვის გაწეული. სკოლა ცხრა წლის წინათ, უკიდურესად შეჭირვებულ პერიოდში გაიხსნა, მაშინ, როდესაც არა მარტო ახალს, არამედ უკვე არსებულ კერძო სკოლებსაც უჭირდათ მუშაობა, კონტინგენტის მოზიდვა, მაგრამ ქალბატონმა თამარმა, როგორც გონიერმა და შორსმჭვრეტელმა ორგანიზატორმა, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სწავლების მაღალი ხარისხი, საუკეთესო პირობები და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, სწავლის დაბალი გადასახადი შესთავაზა. მსურველებმაც არ დაახანეს. როგორც წესი, ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის, სექტემბერში ქალბატონ თამარს, მორიგი ახალი კლასი უკვე შევსებული აქვს ხოლმე, სკოლა „ათინათი“ ყოველმხრივ მომზადებული პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, ისინი გამოირჩევიან განათლებით, ინტელექტით, პედაგოგიური ალღოთი, რაც სწავლების პროცესს ეფექტურს ხდის. სკოლის რეჟიმი ყოველმხრივ მისაღებია მშობლებისათვის. გარდა იმისა, რომ მოსწავლეები ხარისხიანად ახსნილ ახალ მასალას ისმენენ, ისინი მას იქვე, სკოლაში ამზადებენ, ამასთან, ისინი კვებითაც სკოლაში იკვებებიან ისე რომ, მშობლებს შინ უკვე ნამეცადინევი და ნასადილევი ბავშვები მიჰყავთ.

– ჩვენთვის მთავარი სწავლების ხარისხია, – ამბობს ქალბატონი თამარი – მეცადინეობის ასეთი რეჟიმი მე პირადად საშუალებას მაძლევს უკეთ გავუწიო კონტროლი მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას. თუ მოსწავლე ჩამორჩება, სწავლაში მოისუსტებს, ეს იმაზე მეტყველებს, რომ „სცოდავს“ მასწავლებელი – ან ის, რომელმაც ცუდად აუხსნა, ან ის, რომელმაც ცუდად მოამზადა მოსწავლე მეორე დღისთვის. ასეთი მასწავლებელი ჩვენს სკოლაში ვერ გაჩერდება, რადგან ჩემთვის ჩვენი სკოლის ავტორიტეტი ძალიან ბევრს ნიშნავს...

წესრიგის, ყურადღების და მზრუნველობის ასეთი დონე სხვა სასწავლებლებში ძნელად თუ მოიძებნება, სწორედ ამის გამო ხშირად ყოფილა ,ისეთი შემთხვევა, როცა სხვა სკოლაში გადაყვანილი ბავშვი მშობლებს ძალიან მალე ისევ უკან, „ათინათში“ დაუბრუნებიათ.

ძირითადი საგნების გარდა, აქ გაძლიერებულად, პირველი კლასიდანვე ისწავლება ინგლისური ენა, სკოლაში ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული და მუსიკალური სტუდიები, სადაც მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები ქართული ცეკვისა და სიმღერის მადლს აზიარებენ მოზარდებს.

როგორც ვთქვით, სკოლა „ათინათი“ 173-ე ბაგა-ბაღის შენობაში მდებარეობს და ამიტომ პირველკლასელთა ყოველი შევსება ძირითადად ამ ბაღის აღსაზრდელებით კომპლექტდება ხოლმე. ქალაქში ამბობენ, „ნათენაძის სკოლაში“, როგორც წესი, ბიჭები სჭარბობენო. ეს კი იმიტომ ხდება, რომ მკაცრი და ყურადღებიანი „გამგე დეიდა“ (ასე ეძახიან მოსწავლეები ქალბატონ თამარს) ყოველდღე ამოწმებს მოსწავლეთა დასწრებას თუ აკადემიურ მოსწრებას და ვაი იმას, ვისაც ცუღლუტობაში წაასწრებს. ამიტომაც არის, რომ ბიჭების მშობლები ცდილობენ „ნათენაძის სკოლაში“ „გამგე დეიდას“ ჩააბარონ თავიანთი შვილები, მაგრამ გოგონების მშობლებსაც დიდი სიამოვნებით მიჰყავთ „ათინათში“ შვილები. ბიჭებსაც და გოგონებსაც დირექტორის დიდი რიდი აქვთ და ამავე დროს ძალიან უყვართ იგი, რადგან ხედავენ და გრძნობენ, რომ იგი სიმკაცრესთან ერთად ძალიან თბილი, ალერსიანი და მზრუნველია.

მარინა მირცხულავა

შენი თანატოლები

გიორგი ქარდავა

ჯვარის №2 საშუალო სკოლის მესამეკლასელთა შორის გიორგი ქარდავა განსაკუთრებით მათემატიკის სიყვარულით, სიკეთითა და გულისხმიერებით გამოირჩევა. გიორგი ფრიადოსანია და ყველა საგანს სიამოვნებით სწავლობს, მაგრამ მათემატიკა ყველაფერს ურჩევნია, ადვილად და ხალისით ხსნის ამოცანებსაც და მაგალითებსაც. იგი ფეხბურთითაც არის გატაცებული, კარგა ხანია ჯვარში არსებული კლუბ „ნორჩი ფეხბურთელის“ წევრია (ხელმძღვანელი ბადრი თოდუა). ბადრი მასწავლებელს ძალიან მოსწონს ეს ცოცხალი, გონიერი, ყოჩაღი და მოწესრიგებული ბიჭი, მისი თამაში, მოქმედება მოედანზე და კიდევ ამიტომაც შესთავაზა მის თანაგუნდელებს სწორედ გიორგი აერჩიათ კაპიტნად. პატარა ფეხბურთელებსაც ძალიან უყვართ გიორგი და ამიტომაც სიამოვნებით დაუჭირეს მხარი მწვრთნელს. კაპიტანი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობს როგორც ამხანაგების, ისე მასწავლებლის წინაშე და ცდილობს გაამართლოს მათი ნდობა. გიორგის უნდა დიდი ფეხბურთელი გახდეს და საამისო საფუძველს ახლავე იმზადებს, მონდომებით, მთელი დატვირთვით ვარჯიშობს, გულისყურით ეკიდება მწვრთნელის ყველა რჩევას თუ შენიშვნას. დაიმახსოვრეთ ეს სახელი – გიორგი ქარდავა,იქნებ ის მართლაც დიდი ფეხბურთელი გახდეს და მთელ მსოფლიოში გაითქვას სახელი.

ჩვენი ცვალებადი მკითხველი

ლუკა გახარია

დღესვე ცხადზე ცხადია, რომ 2 წლისა და შვიდი თვის ლუკა გახარია იმაზე ბევრად ადრე გახდება „ნაკადულის“ მკითხველი, ვიდრე შეიძლებოდა გვეფიქრა. თავად განსაჯეთ:

ლუკა-ბიჭმა ენა ოთხი თვისამ აიდგა, მის მიერ წარმოთქმული პირველი სიტყვა იყო „გოგო“, მერე ამას „მამა“ და „დედა“ მოაყოლა;

წლისა ქართული ანბანის თითქმის ყველა ასოს ცნობდა, დღეს კი მთელი ანბანი „ანიდან“ „ჰაემდე“ ზეპირად იცის;

თუ ჰკითხავთ, სხაპართველ მეფეებს, საქაძღვრულ ძეგლებს, სხუპით ჩამოგითვლით ქართველოს ხუროთმოეკლესია-ტაძრებს, ამასთან თითოეულ მათგანს სურათზეც უმალ იცნობს;

იცის, რომ ოპერის ბაღში ზაქარია ფალიაშვილის ძეგლი დგას, მეტეხის ტაძრის უკან ვახტანგ გორგასლის, სასტუმრო „ივერიის“ წინ – დავით აღმაშენებლის ძეგლი, ხოლო ფილარმონიის წინ რომ ქანდაკება დგას, „მუზაა“;

ერთხელაც არ წაიბორძიკებს, ისე ჩაგირაკრაკებთ აფორიზმებს თუ ანდაზებს – „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანიო“, „კარგი შვილი დედის გულის ვარდიაო“, „ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყოო“, „პირზე მომდგარსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდაო“, „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო“, „ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო“, „ძმა ძმისთვის, შავი დღისთვისაო“, „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო“ და ასე უსასრულოდ;

ერთი შეხედვით ცნობს ყველა ხატს, ყველა წმინდანს;

არ შეეშლება, ისე გეტყვით, ვინ დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ თუ „დედაენა“, რამდენი დრო და თვეა წელიწადში, დროებსაც და თვეებსაც შეუცდომლად ჩამოგითვლით;

იცის ვინ არის ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქი, ვინ იყო საქართველოს პირველი პრეზიდენტი და ვინ არის მისი ამჟამინდელი პრეზიდენტი;

შეუძლია სულმოუთქმელად გიამბოთ „კომბლე“, „ასფურცელა“, „წითელქუდა“ და სხვა ზღაპრები;

ცნობს VIII კლასის ზოოლოგიის წიგნში წარმოდგენილ ყველა ცხოველს თუ ფრინველს, დაწყებული ამებით;

ერთი არ შეეშლება, ისე დაგისახელებთ რომელ მეზობელს რომელი მარკის მანქანა ჰყავს;

თავისი მისამართი ხომ იცის და იცის, და თუმცა ცოტა ძნელი გამოსათქმელია, იმასაც მოგახსენებთ, თუ სად მუშაობენ დედიკო და მამიკო;

ყველაფერთან ერთად შეუძლია შვიდ ენაზე – რუსულ, სომხურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ქურთულზე – დასმულ მარტივ კითხვებს ამავე ენებზე უპასუხოს...

ახლაც არ გჯერათ, რომ ლუკა გახარია ძალიან მალე გახდება ჩვენი ჟურნალის მკითხველი, მერე კი საქმიანობის რომელი სფეროც არ უნდა აირჩიოს, გონიერებით, ნიჭიერებით, ღრმა და მრავალფეროვანი ცოდნით გამორჩეული სპეციალისტი იქნება?

ოდოშსერი

ეს მშვენიერი ლექსი 11 წლის გოჩა გოგატიშვილმა თავის პატარა ნათესავს, კუდრაჭა ლიზი ცარციძეს უძღვნა

პატარა ლიზის

წმინდა სულის გენი მოსავს,
ჩემს პატარა მანდილოსანს.
გულში ნანატრ სხივად მიხის,
ოქროს ბარტყი, კოსტა ლიზი.
ბებო გლოცავს – ისარეო,
ტანი ალვად იყარეო.
გაისარე, რომ სამშობლო
გაახარო წმინდა გულით,
ქართველ ქალის სიამაყით,
საქართველოს სიყვარულით.
დღეს სჭირდება საქართველოს,
შენი ხმა და წადილი,
გაისარე სასახელო
ქართველ ქალის მანდილით.

საკონტროლო წერა თემაზე:

„ვის მინდა ვგავდე“

წერენ თბილისის 55-ე საშუალო სკოლის IV^3 კლასის მოსწავლეები. მასწავლებელი ლონდა ზედელაშვილი

მე მინდა ვიყო მე, მაგრამ მე მინდა ვგავდე მწერალ შოთა რუსთაველს, იმიტომ, რომ ის კარგი მწერალია და თითქმის მთელი ქვეყანა მას აქებს. მე მინდა კიდევ იმითი ვგავდე შოთა რუსთაველს, რომ იგი ძალიან, ძალიან ჭკვიანი, ძალიან კეთილი იყო და მთელი დღეები წერდა წიგნებს, რომ მისი ნაშრომი ჩვენ გამოგვდგომოდა და გვადგება კიდეც. მას კიდევ ჭკუა ცოდნით აქვს მორთული და მისმა ნამუშევრებმა შეიძლება ჩვენი ჭკუაც მორთოს.

ნიკა თორთლაძე

მე მინდა ვგავდე მამაჩემს. მე იმიტომ მინდა ვგავდე მამაჩემს, რომ მამაჩემი კარგი კაცი იყო, კეთილი იყო, გულთბილი იყო, ჭკვიანი, ძლიერი, მამაცი იყო, ყურადღებიანი კაცი იყო. მე არ მინდა ვგავდე სხვა ვინმეს. მე კაცი ვარ და მინდა ვგავდე კაცს, რომელიც მამაჩემი იყო.

ნიკა ჯგერენაია

მე მინდა ვგავდე ნინო ბურჯანაძეს. იმიტომ, რომ იგი არის ლამაზი, ჭკვიანი, კეთილი, კარგი.

ელენე ჩორგოლაშვილი

ყველაზე მეტად მიყვარს დედა, როგორც თითქმის ყველა ბავშვს. დედა მხატვარია, მეც ძალიან მიყვარს ხატვა. ვფიქრობ, მხატვარი ან დიზაინერი გავხდე, იმიტომ, რომ დედა ძალიან ნიჭიერია და ხატვაც ძალიან მიყვარს.

სალომე დემეტრაშვილი

მე მინდა, რომ ვიყო მე, მხოლოდ მამაჩემს მივბაძო საქმიანობაში. იგი დიპლომატია. მე მას იმიტომ მინდა მივბაძო, რომ იგი ბევრ ქვეყანაში მოგზაურობს, ბევრი ენა იცის. კიდევ ჩემი უდიდესი სურვილია გამხდარი ვიყო, რომ ცოტა უფრო მოქნილი და ლამაზი ვიყო.

ნუკი მუნჯიშვილი

მე მინდა ვგავდე ფეხბურთელ რონალდოს, რომელიც ძალიან მიყვარს და როცა ვხედავ მას ეკრანზე, რასაც არ უნდა ვაკეთებდე, მის თამაშს თვალს ვერ ვაცილებ. მე იმიტომ მინდა ვგავდე მას, რომ იგი არაჩვეულებრივად თამაშობს და ამასთან ერთად მეც ფეხბურთელი გახლავართ და მინდა მისნაირი ფეხბურთელი გამოვიდე და მიყუროს მთელმა მსოფლიომ. მე მინდა ვითამაშო თბილისის „დინამოში“, რომელიც დღესდღეობით მოგებას ნატრულობს, მაგრამ მე რომ გავიზრდები, გპირდებით, ესე არ იქნება და ჩვენ ვიქნებით მსოფლიოში ყველაზე ძლიერი გუნდი!!!

ნიკუშა ჟუნიელია

ადამიანი ბევრნაირია, ზოგი ბოროტია, ზოგიც კეთილი. მე მინდა ვგავდე იმ ქართველ გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს ამ სამ დიდებულ სიტყვას: ენა, მამული და სარწმუნოება.

კერძოდ კი, მე მინდა ვგავდე იმ ქართველ მეფეს, რომელმაც გააბრწყინა საქართველოს ვარსკვლავი, ეს არის გიორგი ბრწყინვალე.

სანდრო ჟოჟოსაძე

ძალიან მინდა ვგავდე საქართველოს ყოფილ მეორე პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას. იმიტომ, რომ მან საქართველო დამოუკიდებელი გახადა. მან შესწირა თავი საქართველოს, რათა გადაერჩინა ჩვენი ქვეყანა, გაიმარჯვა არჩევნებში და გახდა საქართველოს მეორე პრეზიდენტი. აი, რატომ მინდა ვგავდე ბატონ ზვიად გამსახურდიას.

ვახტანგ გაგიძაშვილი

მე მინდა ვგავდე ისეთ ადამიანს, რომელსაც საშუალება ექნება ის გამოვიდეს, რაც უნდა. იმიტომ, რომ ვაკეთო ჩემი საყვარელი საქმე.

ნინო გელაშვილი

მე მინდა ბრიტნი სპირსს და ნატალია ორეიროს ვგავდე და მინდა მომღერალი გამოვიდე, მაგრამ იმიტომ არა, რომ ბრიტნი და ნატალია არიან მომღერლები. ჯერ კიდევ ბავშვი ვარ და შეიძლება გადავიფიქრო.

დედაჩემს უნდა, რომ ექიმი გამოვიდე, მაგრამ მე არ მინდა. და იმიტომ, რომ ჩემს დას უნდა ექიმობა, უფრო სწორად დედაჩემი აძალებს, თვითონ უნდა დიზაინერი გამოვიდეს, ისე ლამაზ კაბებს, შარვლებს და მაისურებს კერავს.

კიდევ მინდა დედაჩემს ვგავდე, დედა კი მკაცრია, მაგრამ ბავშვი არ უნდა გაათამამო.

დეა ჭითავა

მე ძალიან მინდა ვგავდე ვახტანგ გორგასალს, იმიტომ რომ, ის მეფე იყო, ძლიერი იყო და ბაბუაჩემის სახელი ჰქვია – ვახტანგი. ვახტანგ გორგასალი საქართველოს რაინდია. მან ბევრჯერ გადაარჩინა საქართველო და კიდევ აღადგინა საქართველო. მან თავი შესწირა საქართველოს, რომ გადაერჩინა ის. მის სამახსოვროდ ძეგლიც დგას თბილისში, სხვა ბევრის ძეგლიც დგას თბილისში, მაგრამ მე მინდა ვახტანგ გორგასალს ვგავდე.

ვახტანგ კალანდაძე

მე მინდა ვიყო ისეთი, როგორიც ვარ, იმიტომ რომ, ჩემი თავი მომწონს. მაგრამ მინდა გამოვიდე მომღერალი, თუმცა მე მომავალი არ ვიცი. იქნებ ექიმი გამოვიდე ან მოცეკვავე.

როცა გავიზრდები, ალბათ შემეცვლება ჩემი აზრი. მე ორი სიმღერა დავწერე. და ამიტომ მგონია და მინდა, რომ მომღერალი გამოვიდე.

ირინა სიხარულიძე

მე მინდა ვგავდე კეთილ, ლამაზ და სამართლიან ადამიანს, სამშობლოს გამოვადგე. ბოროტი და უცოდინარი სამშობლოს არ გამოადგება. იმიტომ მინდა დავემგვანო ასეთ ადამიანს, რომ შევინარჩუნო სამშობლო და ილია ჭავჭავაძის ანდერძად დატოვებული სამი სიტყვა: ენა, მამული, სარწმუნოება!!!

მაკო ენუქიძე

მინდა ვგავდე ერთ ჩოგბურთელს, რომელსაც ფრანგული სახელი ჰქვია: Hennen. მე ის ძალიან მომწონს, სულ მას ვგულშემატკივრობ. ის კარგად თამაშობს და კიდეც იგებს. ის ძალიან ლამაზია, ცდილობს მოგებას. უნდა, რომ იყოს საფრანგეთის ჩემპიონი.

მე კიდევ არჩეული მყავს მომღერალი და მინდა მას ვგავდე, მისი სახელია ჯენიფერ ლოპესი. ის ძალიან კარგად მღერის, კარგი ხმა აქვს, მაგრამ ყველაზე მეტად მინდა ვგავდე ჩემს საყვარელ და საუკეთესო დედას.

ნატალია როგავაძე

მინდა ისეთ ადამიანს ვგავდე, რომელიც ჭკვიანი, მოახროვნე და გენიოსია. მინდა ჩემი სამშობლო კარგად იყოს, მტრები არ ჰყავდეს, როგორც თამარისა და დავითის მეფობის დროს იყო.

ჩვენს სამშობლოს წარსულში დიდი ისტორია ჰქონდა და ის მასწავლის, როგორ მოვიქცე სამშობლოს გადასარჩენად. ბევრჯერ მიფიქრია და ვხედები, რომ ჩვენს მომავალს სჭირდება გაერთიანებული სამშობლო. მე მინდა ვგავდე ძალიან ნიჭიერ ადამიანს!!!

ანა მდივნარაძე

მე მინდა ჩემს ბაბუას ვგავდე. მინდა, რომ გავხდე ისეთი კარგი ექიმი, როგორიც ის იყო. რატომ? იმიტომ, რომ მინდა დავეხმარო ხალხს და ავადმყოფები განვკურნო. მინდა, რომ მისნაირი კარგი და ჭკვიანი გავხდე, იმიტომ, რომ ის ძალიან ჭკვიანი იყო და ხალხს ეხმარებოდა. და ხალხს ის ძალიან უყვარდა.

არჩილ მაყაშვილი

მე პატარა ვარ, რომ ვთქვა ჯერ ვინ გამოვალ, დიდი რომ გავიზრდები, აზრი შეიძლება შემეცვალოს. მე ვიტყვი, ვის მინდა ვგავდე. მე მინდა ვგავდე დიდ მსახიობს, სულერთია ვის, მთავარია კარგს. მინდა ექიმი

გაგრძელება მე-17 გვ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

22826

გამოვიდე, მაგრამ შეიძლება აზრი შეშეცვალოს.

ირაკლი დვალი

მე მინდა ჩემს დედას ვგავდე. იმიტომ, რომ დედიკო არის კეთილი, მეც ვარ, მაგრამ მინდა კიდევ უფრო კეთილი ვიყო. მინდა ვიყო ყოჩაღი, როგორც დედიკოა, დედიკოში კარგ თვისებებს ვხედავ. კიდევ მინდა ვგავდე მოდელს და მომღერალს. მომღერალი ძალიან კარგად ცეკვავს და მღერის.

მოდელს კი იმიტომ მინდა ვგავდე, რომ მოდელებს კარგი ტანი აქვთ და მაღლები არიან და ზოგიერთები ლამაზები.

მარიამ გერიაშვილი

მე მინდა ვგავდე მამაჩემს, იმიტომ, რომ მას ორი სამუშაო აქვს, ის ძალიან გულმოდგინედ მუშაობს. სახლში რომ მოდის, გაკვეთილების მომზადებაში მეხმარება და მერე ვთამაშობთ რაღაც თამაშებს.

კოტე გერიძე

მე ძალიან მინდა ვგავდე დედაჩემს, განა იმიტომ, რომ ჩემი მშობელია და ძალიან მიყვარს, არა! ის ძალიან ხალისიანია, არ უყვარს უზრდელი ადამიანები, გაბრაზებაც იცის. მინდა ჩემი მომავალი იყოს დაწყნარებული. არ იყოს მკვლელობები, არ იყოს ქურდობები და არ იყოს ესე, როგორც ახლაა! მინდა ადამიანები იყვნენ კარგი ხასიათებისანი. მე რომ შვილი მეყოლება, მისთვის მზოლოდ კარგი მენდომება. როგორც მე დავდივარ სკოლაში, მანაც ისე იაროს და მე თუ ცოდნა მაკლია, ის ჩემზე ნიჭიერი იყოს. თუ ესეთი არ გამოვალ, მინდა ვიყო ისეთი ადამიანი, როგორიც ლონდა მასწავლებელია! ლონდა მასწ. დედაჩემს ბუნებაში ძალიან გაეხართ!

მაკა მარნაძე

მე მინდა ვიყო მე, იმიტომ რომ, სხვა არ მომწონს, მაგრამ მინდა კარგად ვისწავლო. ცნობილი მოცეკვავე გამოვიდე, და მომღერალი. ასე ვფიქრობ ჩემს მომავალზე.

დეა ფირცხალაიშვილი

მე მინდა ვიყო ისეთი როგორიც ვარ. მაგრამ მინდა, რომ ლელა წურწუმიასავით კარგი მომღერალი ვიყო, და მინდა გავხდე ისეთი, როგორიც ის არის, ლამაზი და მოხდენილი. ლელა წესიერი ადამიანია, მან იცის რა დროს, ან სცენაზე გამოსელისას როგორ ჩაიცვას. ამიტომაც ის მომწონს. მე ლელასავით ტუჩის მაღლა ამომდის ხალი.

მარიამ ჩიქვინიძე

მე ძალიან მინდა ვიყო ჭკვიანი, კეთილი. მინდა გამოვიდე ექიმი, იმიტომ, რომ ხალხი სიკვდილისაგან გადავარჩინო. ძალიან მომწონს ეს პროფესია. საავადმყოფოში რომ შევდივარ, თვალზე ცრემლი მადგება, ასეთ დაავადებულებს რომ ვხედავ და გულში ვფიქრობ: დიდი რომ გავიზრდები, აუცილებლად ექიმი უნდა გამოვიდე. მე მინდა ისეთი მთავრობა გვყავდეს, საქართველოს რომ მოუაროს და პაციენტები გადაარჩინოს. მე მინდა ვიყო ის, ვინც ვარ.

მარი ქაჯუმაშვილი

მე მინდა გამოვიდე ექიმი. იმიტომ, რომ ამ ქვეყანაში ბევრი დაავადებული ადამიანია, ექიმობა ძალიან კარგი პროფესიაა.

ექიმი უნდა კეთილი, მიზანდასახული ადამიანი იყოს და მე ვიქნები კეთილი და მიზანდასახული ექიმი.

მე არ მინდა ვგავდე სხვებს, მე მინდა ვიყო მე, იმიტომ რომ მე როგორიც ვარ, ჩემი თავი ძალიან მომწონს.

ვახტანგ კაშია

მე არავის არ მივბაძავ, მე მინდა ვიყო ჩვეულებრივი ადამიანი. თუმცა ჯერ კიდევ არ ვიცი, დიდობაში რა აზრი მომივა. თუ რამე აზრი მომივიდა, მაშინ გამოვალ მომღერალი. იმიტომ რომ, მე ძალიან მიყვარს სიმღერა. ამიტომაც, როცა გავიზრდები, მაშინ მე მგონი მომღერალი გამოვალ. მაგრამ არავის მივბაძავ.

მანანა კაკინაშვილი

მე მინდა ვგავდე დედაჩემს, იმიტომ, რომ ის განათლებული და ჭკვიანი არის.

მეც მინდა ეგეთი გამოვიდე. დედაჩემი ძალიან მომწონს და იმიტომ.

მარიამ მანჯგალაძე

მე მინდა, როგორიც ვარ, ისეთი ვიყო. მე მინდა გავხდე მოცეკვავე, იმიტომ რომ ძალიან მომწონს ცეკვა და მე მინდა საქართველოს ბევრი მოცეკვავე ჰყავდეს, ბევრი მსახიობი და მომღერალი. მე ძალიან მინდა ვგავდე თეა დარჩიას.

სოფო ოგოლაშვილი

მე მინდა ვგავდე დედაჩემს. მე ის ძალიან მიყვარს. იმიტომ, რომ პატარა დაიკო გამიჩინა. მე ველოდებოდი მას, ძალიან ველოდებოდი როდის მოვიდოდა!

თაკო დვალი

მე მინდა ვგავდე ერთ მსახიობს, ის სულ სერიოზულ ფილმებში თამაშობს. მეც მინდა მსახიობი გავხდე. ისეთი, როგორიც ეს მსახიობია. ვინ იცის, შეიძლება გავხდე ეგეთი მსახიობი, შეიძლება არა. მე თუ ჩემს ოცნებას მივაღწევ, ეს იქნება ჩემი უბედნიერესი დღე. მე ვისაც მინდა, ვგავდე, ეს ადამიანია ნიკოლას ქეიჯი.

შოთიკო ჭოლოშვილი

მე ძალიან მინდა ვგავდე ჩემს დედას, იმიტომ, რომ დედიკო საკმაოდ ჭკვიანია,მზიარული და რაც მთავარია, იგი ძალიან მიყვარს, ძალიან მომწონს მისი თვისებები.

ლანა ანთელავა

მე მინდა ისეთ კაცს ვგავდე, რომელიც თავის დედაქალაქს მოუვლის, თავის მიწებს დაიბრუნებს, ხალხს დაეხმარება, როცა ვთქვათ, ქუთაისი და თბილისი ჩხუბობენ, გააშველოს, რომ ერთმანეთი არ მოკლან. თუ ხალხი დაიღუპება, ცოტანი ვიქნებით, მერე მტერი შემოვა და თანდათან ჩვენს მიწებს წაგვართმევს. მინდა ისეთ ადამიანს ვგავდე, რომელიც პენსიას გაზრდის, პოლიციას დაურიგებს მანქანებს, საავადმყოფოებს წამლებს და იმას იმიტომ მინდა ვგავდე, რომ ის სიკეთეს ჩადის და ხალხი დააფასებს.

გიორგი მკერვალიშვილი

კეთილი და სამართლიანი ადამიანი ბოროტებას არ აკეთებს, როდესაც ადამიანი ბოროტებას სჩადის, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სამშობლო არ უყვარს. მე მინდა სამშობლოს მოყვარულ ადამიანს ვგავდე, რომელიც ენას, მამულს და სარწმუნოებას ძალიან დიდ განსაცდელში არ მიატოვებს და არ დათმობს!

ელენე კიკნაძე

მე მინდა მივბაძო მამაჩემს იმიტომ, რომ მამასთვის პირველ რიგში თავისი ოჯახია. მამა უვლის თავის ოჯახს და ბოლოში საქმეს იტოვებს. მე მისი პროფესიაც მომწონს.

მე მომწონს რობერტ დენირო. ის ყველა კარგ ფილმში მონაწილეობს და მე სურვილი მაქვს, რომ საქართველოს ჰყავდეს ისეთი ხალხი, რომ დაიცვან საქართველო და ერთმანეთი არ დახოცონ.

გიგა მუკგანიანი

მე დავდივარ კალათბურთზე და მინდა გამოვიდე კალათბურთელი. ჩემი საყვარელი კალათბურთელი არის მაიკლ ჯორდანი. როდესაც გავიზრდები, ძალიან მინდა მისნაირად ვთამაშობდე. მე მინდა გამოვიდე მისნაირი კალათბურთელი.

ნოდარ კალანდარია

ჩემი თავი მინდა ვიყო! მე მინდა გავხდე პოპულარული მომღერალი, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მიზიდავს, მე მინდა ვიმღერო, ისე როგორც A-CTUDIO, მე ძალიან მომწონს მისი კლიპები.

სოფო ჩიხლაძე

მე არავის არ მინდა ვგავდე, მინდა, ვიყო ყველასგან განსხვავებული, მაგრამ ყველაფერში არა.

მე მინდა გამოვიდე ბავშვთა ექიმი. იმიტომ რომ მინდა, რომ ჩემი მომავალი იყოს ჯანმრთელი და იყოს უფრო მეტი ხალხი, და ამ ბევრი ხალხით საქართველო იქნება ძლიერი!!!

ანასტასია სინჯიაშვილი

მე ძალიან მინდა ვგავდე დედას, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს, ძალიან კარგია, კეთილი, სამართლიანი, ყველაფერში მართალი, ყველაფერს კარგად აკეთებს, არ იტყუება, და კიდევ მინდა მასწავლებელს ვგავდე. მეც მინდა ყოველთვის ასეთი ვიყო და ასეთი სამუშაო მქონდეს.

ნინა ანთელავა

მე მინდა ვგავდე მსახიობ კასანდრას, ანუ მარია ემილიას, იმიტომ რომ, როცა პატარა ვიყავი, დედაჩემი მეძახდა ამ სახელს. დედამ ლამაზად გამომპრანჭა და ყველანი მეძახდნენ კასანდრას. მე მომეწონა ის ადამიანი და იმიტომ მინდა მარია ემილიას ვგავდე.

თაკო მწარიაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო კიდით კიდემდე

მექსიკა

ოლონდ გავშვებმა წიგნები იკითხონ და მასწავლებელი თმასაც შეიჭრის.

მექსიკელმა მასწავლებელმა კლაუდია პერიჩარტკუმ სანაძლეო დაუდო თავის მოსწავლეებს – თუ სასწავლო წლის ბოლომდე ისინი ყველანი ერთად 2500 წიგნს წაიკითხავდნენ, იგი თავის მშვენიერ თმებს შეიჭრიდა. ეს კლაუდია მასწავლებლის მიერ კეთილი და სასარგებლო საქმისთვის მოტანილი მეორე მსხვერპლი იყო. მან წააგო პირველი სანაძლეო – 500 წაკითხული წიგნი ნახევარწელიწადში – და იძულებული იყო ჩახჩახა ფერად შეეღება თმა. ამჯერად კი მოსწავლეებისთვის თავდადებულ მასწავლებელს მაკრატლის მომარჯვება მოუხდა. ყველას თვალწინ მასწავლებლის თმის პირველი კულულების შეჭრის უფლება ყველაზე თავგამოდებულ მკითხველებს ერგოთ. 34 წლიანი პედაგოგიური სტაჟის მქონე მასწავლებელს გარჯა დაუფასდა – მისმა მოსწავლეებმა გარდა იმისა, რომ ცოდნა გაიმდიდრეს, დიპლომებიც დაიმსახურეს „წიგნის განსაკუთრებული სიყვარულისთვის".

საფრანგეთი

ბესტსელერის ავტორი 14 წლისაა

14 წლის ფრანგმა მოსწავლემ ფლავია ბაჟომ დაწერა წიგნი „ქვების წინასწარმეტყველებანი", რომელიც ბაზარზე გამოსვლის უმალ ბესტსელერად იქცა. მარტო საფრანგეთში ფლავიას წიგნი 20 ათასიანი ტირაჟით გამოიცა, მალე კი იგი მსოფლიოს 20 ენაზე ითარგმნა. გერმანიაში ფრანგი გოგონას წიგნი ჰიტად იქცა – იქ უკვე 30 ათასი ეგზემპლარი დაიბეჭდა. ამჟამად ფლავია ბაჟო მოლაპარაკებას აწარმოებს მისი წიგნის მიხედვით ფილმის გადაღების შესახებ.

ა.შ.შ.

ვინი-პუჰმა ჰარი პოტერს აჯობა

დღეს ალბათ ყველაზე პოპულარულ ფანტასტიკურ თუ ზღაპრულ პერსონაჟად მთელ მსოფლიოში ჯოან როულინგის წიგნების გმირი ჰარი პოტერი ითვლება. თუმცა ასეთი პოპულარობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს სარეკორდო მოთხოვნილებას ყოველივე იმაზე, რაც მოცემულ სახელთან არის დაკავშირებული. მთელი ამ პროდუქციის გასაღების ბაზარზე რეკორდსმენად დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მილიონობით ბავშვის საყვარელი დათუნია ვინი-პუჰი რჩება. ჟურნალ „ფორბსის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოქვეყნებულ 2002 წლის ყველაზე შემოსავლიან ფანტასტიკურ და ზღაპრულ პერსონაჟებს შორის ვინი-პუჰს პირველი ადგილი უკავია. მან მის შემქმნელებსა და თანმდევი საქონლის მწარმოებლებს 5,9 მილიარდი დოლარი მოუტანა. „მდიდართა" სიაში მეორე დისნეისეული წრუწუნა მიკიმაუსი აღმოჩნდა (4,7 მილიარდი დოლარი), ჰარი პოტერი კი 2,9 მილიარდი დოლარით მესამე ადგილზე გავიდა.

იტალია

იყიდება ჯორჯო არმანის მიერ შემოსილი ბარბი

თანამედროვე მაღალი მოდის ერთ-ერთმა კანონმდებელმა ჯორჯო არმანიმ ამჯერად მთელი მსოფლიოს საყვარელი თოჯინა ბარბისთვის შექმნა ტანსაცმელი. ბარბი მუქი ნაცრისფერი ვიწრო სამხრეებიანი ბლუზით და ასეთივე ფერის, ოღონდ მუქი მძივებით მორთული ქვედატანით შეიმოსა, ყელზე მას კოლიე, ყურებზე კი საყურეები უკეთია. არმანიმ სათამაშო მოდელს ხელში პაწია საღამოს ჩანთაც დააჭერინა. ასე მორთულ-მოკაზმული ბარბი 133 დოლარი ღირს. იტალიელ დიზაინერს გადაწყვეტილი აქვს თოჯინის გაყიდვით მიღებული მთელი შემოსავალი ახალგაზრდობაში შიდსის გავრცელებასთან ბრძოლის საგანმანათლებლო პროგრამის გასავითარებლად გაიღოს, ნაწილი კი გადაუხადოს ფონდს „რუ თუ გროუ", რომელიც ღარიბ ოჯახებში დაბადებულ ბავშვებზე ზრუნავს.

პალესტინა

არაბული სამყაროს ყველაზე ახალგაზრდა მწერალი

16 წლის პალესტინელი გოგონა მია ათ-თაიი არაბულ სამყაროში ყველაზე ახალგაზრდა მწერალი გახდა. მისი პირველი რომანი „ძლიერთა დრო" ახლახან გამოვიდა ღაზას სექტორში. თავისი სამშობლოს ყოველდღიური რეალობის საჩვენებლად მიამ თხრობის დეტექტიური ფორმა ირჩია.

სალომე ჯანელიძე,
თბილისის 94-ე საშუალო სკოლა, 11 წლის.

ოდოშსერი

ლანჩრების ლოის სასოჯარი

ოცდახუთი დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. ქარს დასავლეთიდან წვიმის წვრილი წვეთები მოჰქონდა. ხანდახან თოვლსაც გამოურევდა. შიშველი ხეები სამხრეთისაკენ იცქირებოდნენ, სადაც დიდი ხნის წინათ დაიკარგა მზე... ღორმუცელა ყვავებიც გაუჩინარებულიყვნენ... მიუხედავად უამინდობისა, დიღმის ხეივანი სავსე იყო ბავშვებით, რომლებიც ამ უღიმღამო, ნაცრისფერ დღეს ტანსაცმლის ფერადოვნებით და ჟრიამულით აცოცხლებდნენ. თამუნა კი თავის ოთახში დივანზე ჩამომჯდარიყო, ირგვლივ უამრავი საჩუქარი იღო, მაგრამ გოგონას სიხარულისა არაფერი ეტყობოდა. უკვე ათი წლის იყო, მისი სანუკვარი საჩუქარი კი მაინც არ ეღირსა... ფიქრებიდან კარის ხმამ გამოარკვია. კარებში მამა იდგა და მრავალმნიშვნელოვნად იღიმებოდა, ხელში ყუთი ეჭირა. თამუნა მივარდა, ყუთს თავი ახადა, იქიდან ყავისფერი პლუშის ლეკვი იცქირებოდა. გაწბილებულმა სათამაშო გვერდზე მიაგდო და გაკაპასებული ხმით უსაყვედურა მამას:

–ბავშვი კი აღარა ვარ, მე ნამდვილი ძაღლი მინდა!

მამამ გაიღიმა:

–აბა, კარგად ჩაიხედე ყუთში!

–ეს ფული სულ ჩემია?

–კი, მამა, შენია, შეგიძლია ნამდვილი ძაღლი იყიდო.

–ძაღლი? ნამდვილი ძაღლი? – ენა დაება თამუნას.

–ხვალ დიღმის ბაზრობაზე წადი და თვითონვე იყიდე, როგორი ძაღლიც გინდა.

ბედნიერი თამუნა ხმას ვეღარ იღებდა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამდენი ხნის ოცნება უსრულდებოდა, ძლივს დამშვიდდა. კიდევ ერთხელ გადაათვალიერა საჩუქრები, განსაკუთრებით ზოლიანი ქვა მოეწონა, რომელიც იმის მიხედვით იცვლიდა ფერს, თუ საიდან უყურებდა მზე. ეს ქვა ჩემი კოლექციის მშვენება იქნება, – გაიფიქრა მან.

მკრთალად განათებული ოთახის მარჯვენა მხარეს აკვარიუმი იდგა, მოპირდაპირე მხარეს კი შუშის გალია, სადაც ჭრელთავა ხვლიკი მხართეძოზე წამოწოლილიყო და მზისფერ უდაბნოზე ოცნებობდა. თამუნა მასზე დაკვირვებას აწარმოებდა, მის ხვლიკურ ოცნებებზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდა. კარადის თავზე უამრავ სათამაშოსთან ერთად ღამურას ფიტულსაც დაინახავდით. კედლებზე ნახატები და პეპლების კოლექცია ეკიდა. თაროებზე ლამაზი ქვები და ნიჟარები ელაგა. აღმოსავლეთის კედელი წიგნების თაროებს ეკავა. შუა ოთახში დალმატინივით დაწინწკლული ხელოვნური ბეწვით გადაკრული სავარძლები იდგა, დასავლეთით – საწოლი, საწოლზეც დალმატინის ლეკვებიანი გადასაფარებელი ეფარა. ფანჯრის რაფებზე მექსიკის კაქტუსები სახლობდნენ და იქაურ ეგზოტიკაზე მოუთხრობდნენ თამუნას. დღეს ერთი კაქტუსი მის საპატივცემულოდ აყვავდა, – თითქოს დაბადების დღე მიულოცაო. გოგონას მისი აყვავება კარგად ენიშნა. რაღაც მოხდება, – გაიფიქრა მან და მთელი დღე სასწაულს ელოდა. აი თურმე რა უნდა გეხარებინათ – ესაუბრებოდა ის საღამოს კაქტუსებს – ახლა ლეკვიც გვეყოლება, თეთრი, შავწინწკლებიანი, დალმატინის ჯიშის ლეკვი.

უსასრულოდ გაგრძელდა ის ღამე გოგონასთვის. ეგონა, რომ აღარასოდეს გათენდებოდა, დაღლილს გამთენიისას ჩაეძინა, მაგრამ მალევე გაიღვიძა, თავისივე ყვირილმა გამოაღვიძა. რა საოცარი სიზმარი ვნახე, ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს? – გაიფიქრა და სიზმრის გახსენება სცადა, მაგრამ თავი და ბოლო ვერ მოაბა. სიზმრიდან გამოყოლილი მხოლოდ ერთი ფრაზა ახსოვდა კარგად: „მე ეს შევძელი!"

გარეთ ნათელი სჯობნიდა ბნელს. თამუნამ სასწრაფოდ ჩაიცვა ქურთუკი, ფული ჯიბეში ჩაიდო და ფრთხილად, რომ არავინ გაეღვიძებინა, სახლიდან გავიდა.

უღიმღამო და სველი დილა იყო. ქუჩაში შემოდგომის ფოთლებისა და ნესტის სუნი იდგა. აი ახლა ბულვარს გადაირბენს და უკვე თავის მეგობართან იქნება, მაგრამ ეს ვინ არის? თამუნამ უბრალო, მოყვითალო ფერის, უჯიშო ძაღლი დაინახა, რომელიც სველ ასფალტს გულმოდგინედ ყნოსავდა, თვალებში დაბნეულობა, შიში და სევდა ერთად ეხატა. ყელზე შემორჩენილი საყელური ჭუჭყიანი და გაქუცული იყო ისე, როგორც თვითონ ძაღლი. ძაღლი თამუნას მიუახლოვდა, დაყნოსა, კუდი გააქიცინა და საოცრად კეთილი, მეტყველი და ტკივილიანი თვალებით ახედა. რა საოცარი თვალები აქვს ამ ძაღლს, – გაიფიქრა გოგონამ და გული შეეკუმშა, ძაღლი კი თვალს არ აცილებდა და თითქოს ევედრებოდა, – შენი ვიქნებიო. გოგონას მოეჩვენა, რომ ძაღლს ლამაზი თვალებიდან ცრემლებიც ჩამოსდიოდა, თამუნა გაქვავებულივით იდგა ერთ ადგილზე, მერე კი თითქოს გამოერკვაო, სწრაფად გადაირბინა ბულვარი და... ზურგსუკან საბურავების ღრჭიალი და ძაღლის წკავწკავი მოესმა.

***

ერთი წლის შემდეგ თოვლი უხვად მოვიდა თბილისში. ოცდაოთხი დეკემბერი იყო. ყინავდა, თოვლის სიმძიმისაგან წელში გაზნექილი ხეები თვალს არ აშორებდნენ მხიარულ, ლოყაწითელა ბავშვებს. გოგო-ბიჭებს ციგები გამოეტანათ და რადგანაც თავდაღმართი არსად იყო, რომ სასრიალო გაემართათ, ერთმანეთს მონაცვლეობით ასრიალებდნენ. განსაკუთრებით ბავშვების ერთი ჯგუფი მხიარულობდა. იცინოდნენ და მხიარული შეძახილებით ამხნევებდნენ ძაღლს: მიდი მიკი, მიდი!...

ციგაში შებმულ ყვითელი ფერის, ძვირფას საყელურიანი, მეტყველთვალებიანი, ოდნავ კოჭლი ძაღლი დიდი მონდომებით დასრიალებდა ერთ გოგონას. ეს გოგონა თამუნა გახლდათ. იგი ამ დროს თავის ხვალინდელ დაბადების დღეზე ფიქრობდა. იმ დღეს ხომ ოცდახუთი დეკემბერი იყო...

ჯეშმარიტი მეგზური

თბილისის ნიჭიერთა სკოლა-აკადემიის მოსწავლეებს კულტურული, სოციალური და პიროვნული ზრდის, თვითგანვითარების, ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენისა და კვლევითი მუშაობის ჩვევების გამომუშავების ყველა პირობა აქვთ შექმნილი. სკოლა-აკადემია 1993 წელს გაიხსნა, მისი კონცეფციის და სასწავლო პროგრამების ავტორია ბატონი რომან ტიკაძე, დირექტორი კი ქალბატონი გულნარა ტიკაძე გახლავთ. სკოლა დაკომპლექტებულია პროფესიონალი მასწავლებლებით, რომლებიც მუდმივად გადიან სამეცნიერო-მეთოდურ სემინარებსა და „ტრენინგებს". მათ შემსახურება სკოლაში

ქ-ნი გულიკო ტიკაძე

ერო-ინოვაციური ცე-
პროცესების მართვის
ვლებელთა მეთოდური
ნეტი, სოციოლოგი-
ური კვლევის სამსა-
ძლიერი მატერი-
კერძოდ, საგნობრივი
ები და აუდიო-ვიდეო
დარი ბიბლიოთეკა,
სამედიცინო კაბინეტი
ჟისტით და ლოგოპე-
აქტო დარბაზი, კო-

სკოლის ამოცანა
რომ სკოლის დამთა-
ახალგაზრდამ სრულყოფილად იცოდეს პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობა, ერთი ევროპული, ერთი აღმოსავლური და რუსული ენები, ამასთან თითოეულს უნდა ჰქონდეს საფუძვლიანი ზოგადი განათლება და აღზრდილი იყოს ჩვენი საზოგადოების ჯანსაღი მორალურ-ზნეობრივი ნორმების შესაბამისად. მოსწავლეთა საერთო აკადემიური მოსწრების დონე სკოლაში მაღალია. IX-XI კლასებში სწავლება დიფერენცირებულია, მეთერთმეტეკლასელთათვის კი შექმნილია სააბიტურიენტო კლასი. ამ კლასში სწავლება რეპეტიტორთან მომზადების ტოლფასია, ამიტომ, როგორც წესი, სკოლის ყველა კურსდამთავრებული უკლებლივ ირიცხება უმაღლეს სასწავლებლებში. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ ბავშვებს შეუძლიათ საეცნიერო ხელმძღვანელის დახმარებით იმუშაონ მათთვის საინტერესო თემებსა და საკითხებზე. სკოლაში სისტემატურად ეწყობა ნორჩ მხატვართა გამოფენები, შემოქმედებითი კლუბების კონცერტები და საღამოები, საგნობრივი ღონისძიებები, ექსკურსიები, კონკურსები, ფესტივალები, კვირეულები და სხვ; მოსწავლეთა კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში ფუნქციონირებს მუსიკალური, სამხატვრო და ტექნიკური შემოქმედების სტუდიები, გიტარაზე და ხალხურ საკრავებზე დაკვრის განყოფილებები, თაობებს ითვლის შოუ-ესტრადის თეატრი და გუნდი. გარდა განათლების სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებული საგნებისა, აქ ისეთ საგნებსაც ასწავლიან, როგორიცაა მეტყველების კულტურა, საოჯახო ცხოვრებისათვის მზადება, ფოლკლორი, მითოლოგია, ქართული ეროვნული ტრადიციები, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, აღმოჩენათა ისტორია, ეკოლოგია, ლოგიკა, ხელოვნების ისტორია და სხვა. სასწავლებელი ეყრდნობა თანამედროვე განათლების სამამულო და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებას, სწორედ აქედან გამომდინარე ასწავლიან მომავალი პროფესიის არჩევის ხელოვნებას. პროფესიათმცოდნეობა IX კლასში ისწავლება. ეს პროცესი ორ ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპში მოიაზრება პიროვნების საკვლევი ფსიქოლოგიური ტესტების გამოყენება, რომელთა საშუალებით თითოეული მოსწავლე სათანადო ინფორმაციას იღებს საკუთარი ფსიქიკური სამყაროს შესახებ, ამით მცირდება მოსალოდნელი შეცდომების დაშვების შესაძლებლობები. მეორე ეტაპზე კი მოსწავლეები ეცნობიან პროფესიათა ტიპებს, პროფესიოგრამას და ფსიქოგრამას. ამასთან ეწყობა შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან. ნიჭიერთა სკოლა-აკადემიაში კიდევ ერთ ძალზე საჭირო საგანს – ქცევის კულტურას ასწავლიან ბავშვებს, მათი სახით საზოგადოებას დისციპლინირებულ, ზრდილობიან და კულტურულ წევრებს უმზადებენ. სამომავლოდ სკოლას დიდი და სერიოზული გეგმა-პერსპექტივები აქვს დასახული, კერძოდ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, სტომატოლოგიური კაბინეტის გახსნა, სკოლის მოსწავლეთათვის სამარშრუტო ტაქსის დანიშვნა, კომპიუტერული ქსელის ინტერნეტში ჩართვა, სწავლებისა და აღზრდის უახლესი ტექნოლოგიური ბანკის შექმნა, სასკოლო-საყმაწვილო ჟურნალის კომპიუტერულად მომზადება და დაკაბადონება და სხვა.

სკოლა-აკადემიის მესვეურები, ბატონი რომანი და ქალბატონი გულიკო, პედაგოგები, ძალ-ღონეს და ენერგიას არ იშურებენ, რათა ქვეყანას ყოველმხრივ მომზადებული და ზნესრული მოქალაქეები აღუზარდონ.

მარინა მირცხულავა

ნუნუ მასწავლებელს

ნუნუ მასწავლებელო, მე თქვენ ძალიან მიყვარხართ და ვცდილობ ჩემი კარგი სწავლით გავახარო თქვენი გული. შაბათ-კვირას მენატრებით და ველოდები ორშაბათს, რომ თქვენ მალე გნახოთ. მე მინდა, რომ თქვენ სულ მხიარული იყოთ. მე გპირდებით, რომ კარგად ვისწავლი და გავახარებ თქვენს გულს.

თქვენი მოსწავლე მერი ანთია, სკოლა „აისი".



მარიამ ბენდიანიშვილი.

სკოლა „ათინათი", II კლასი



რა მანძილია ინგლისის მეფის ცხვირიდან მისი შუა თითის წვერამდე?

შვიდჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერიო – გვასწავლის ხალხური ანდაზა. კი, მაგრამ მაინც რატომ იყო საჭირო შვიდჯერ გაზომვა? ალბათ იმიტომ, რომ ძველად თითებით, მტკაველით, ნაჭდევებიანი ჯოხით ზომავდნენ. ხომ შეიძლებოდა ასეთი საზომის გამოყენებისას ერთხელ შემცდარიყვნენ, მეორედ, მესამედ, ხოლო თუ შვიდჯერ გაზომავდნენ, შეიძლი ცდის საშუალო შედეგი მეტ-ნაკლებად ახლოს იქნებოდა ჭეშმარიტებასთან. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ ერთხელ გაზომილით დღესაც კი არ კმაყოფილდებიან, თანამედროვე უზუსტესი ხელსაწყოებით შეიარაღებული ადამიანი დღესაც კი რამდენჯერმე ზომავს და მერეღა გამოჰყავს საბოლოო შედეგი.

მოდით, ჯერ გავარკვიოთ რას ნიშნავს გაზომვა. ერთი შეხედვით ყველაფერი მარტივი და ადვილია. ვთქვათ, თუ სიგრძის გაზომვა გვინდა, ვიღებთ საზომს – მაგალითად დანაყოფებიან სახაზავს და ვადგენთ, რამდენჯერ დაეტევა საზომი გასაზომი საგნის სიგრძეზე. სწორედ საზომთან შედარება არის გაზომვა, მიღებული რიცხვი კი (ვთქვათ, სანტიმეტრი) გაზომვის შედეგია, მაგრამ უმალ იბადება კითხვა: „საზომი, ზომის ერთეული როგორღა ავირჩიოთ?" ჩვენ კიდევ რა გვჭირს, მზა საზომები გვაქვს – მეტრები, კილოგრამები და სხვ; ხოლო პირველყოფილი ადამიანი ნამდვილად საგონებელში იქნებოდა. გაზომვა სჭირდებოდა, ის კი არ იცოდა, რითი გაეზომა. ცხადი იყო, რომ რაღაც ისეთი უნდა ეხმარა, რაც წამდაუწუმ საძებნელი არ ექნებოდა. ასეთი კი პირველ რიგში საკუთარი ხელფეხი იყო, ჰოდა, ასე გაჩნდა ძველად საზომი ერთეულები, ჩვენში ასეთები იყო: „მტკაველი" (მანძილი გაშლილი ხელის ცერის წვერიდან ნეკის წვერამდე), „ჯოჯი" (მანძილი ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე, დაახლ. 4 სმ.), „წყრთა" (იდაყვიდან შუა თითის წვერამდე), „ადლი" (დაახლ. 1 მეტრი). ზოგი მათგანი დაზუსტებული სახით დღემდე შემორჩა. მაგალითად, ინგლისური დიუიმი (დაახლ. 25 მილიმეტრამდე) ხელის ცერა თითის პირველი სახსრის სიგრძიდან მოდის, ფუთი – ტერფის სიგრძიდან. მაგრამ იგივე ხელფეხი, თითები, ნაბიჯი და ა.შ. ყველას სხვადასხვა სიგრძის ჰქონდა, ისე რომ ამგვარი საზომი ზუსტი ვერ იქნებოდა. საჭირო გახდა საერთო, ყველასთვის ერთნაირი საზომების შემოღება და ასეთები თანდათან გაჩნდა კიდეც. ჯერ ცალკეული სოფლების, ქალაქების, მერე კი მთელი სახელმწიფოს ფარგლებში. ზოგი მათგანი ძალიან სასაცილო იყო. მაგალითად, ინგლისური იარდი განისაზღვრებოდა როგორც მანძილი მეფის ცხვირის წვერიდან მისი განზე გაშლილი ხელის შუა თითის წვერამდე. მაგრამ ინგლისის მეფეებიც ხომ იცვლებოდნენ, ზოგი უფრო მაღალი იყო, ზოგი უფრო დაბალი, ცხვირიც ყველას სხვადასხვა სიგრძის ჰქონდა. ამიტომაც ძალიან მალე იარდი უბრალოდ გარკვეული სიგრძის სახაზავს დაერქვა. ასე გაჩნდა პირველი ეტალონები – საერთო და ყველასათვის აუცილებელი სანიმუშო საზომები.

ზემოთ ჩვენ მხოლოდ სიგრძის საზომ ერთეულებზე ვისაუბრეთ, მაგრამ ასევე იყო წონის, მოცულობის და სხვა საზომების ამბავიც.

დაახლოებით XVIII საუკუნისთვის სახელმწიფოთა უმრავლესობაში უკვე ჩამოყალიბდა ყველა მოქალაქისათვის აუცილებელი უმნიშვნელოვანეს საზომთა სისტემები, მაგრამ დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში, როცა აგრერიგად გაცხოველდა ვაჭრობა ქვეყნებს შორის, გახშირდა საზღვაო მიმოსვლა, დაიწყო მეცნიერების განვითარება, ჩაისახა მრეწველობა, აუცილებელი გახდა საზომების ერთნაირი სისტემის შემოღება. პირველი საფუძვლიანად გააზრებული სისტემა საფრანგეთის დიდი რევოლუციის (1793წ.) დროს იქნა შემოღებული. მას მეტრული სისტემა ეწოდა. ამ სისტემამ მცირედი ცვლილებით მოაღწია ჩვენამდე და სახელმწიფოთა უდიდესი ნაწილი სწორედ მას იყენებს.

მეტრულ სისტემაში სიგრძისა და წონის ძირითადი ერთეულები ჩაფიქრებული იყო, როგორც „ბუნებრივი", ანუ ბუნებაში არსებულ მუდმივ სიდიდეებთან, ანუ კონსტანტებთან დაკავშირებული ერთეულები. მაგალითად, მეტრს უნდა შეედგინა დედამიწის მერიდიანის ერთი მეორმოცმილიონედი ნაწილი, კილოგრამს კი 9 – ცელსიუსის 4 გრადუსი ტემპერატურის დროს ერთი კუბური დეციმეტრი გამოხდილი წყლის წონა. მოგვიანებით გამოირკვა, რომ საფრანგეთში შექმნილი მეტრისა და კილოგრამის ეტალონები ოდნავ განსხვავდებოდა ჩაფიქრებული სიდიდეებისაგან, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამიტომაც როცა 1875 წელს საზომთა და წონების ბიურო შეიქმნა, სწორედ ეს ფრანგული მეტრი და კილოგრამი იქნა აღიარებული საყოველთაო, საერთაშორისო ერთეულებად, ისე, რომ მეტრი, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, სხვა არაფერია, თუ არა უბრალოდ პლატინა-ირიდიუმის ეტალონი, რომელიც საფრანგეთის ქალაქ სევრში საზომებისა და წონის საერთაშორისო ბიუროში ინახება.

გადიოდა დრო, დაიწყო ე.წ. ტექნიკური მეცნიერებათა ინტენსიური განვითარება, რასაც ახალ-ახალი სიდიდეების გაზომვის აუცილებლობაც მოჰყვა. მაგალითად, გაჩნდა ორთქლის მანქანები და ტურბინები. მათთან ერთად კი ორთქლის წნევის გაზომვის აუცილებლობა, დიდი ფოლადის ხიდების და ამწეების მშენებლობამ ლითონკონსტრუქციებში ძაბვებისა და დეფორმაციების გაზომვა მოითხოვა. გაჩნდა ატომური რეაქტორები და საჭირო გახდა ნეიტრონული ნაკადების გაზომვა და ა.შ. წლიდან წლამდე იზრდება იმ სიდიდეთა ნუსხა, რომელთა გაზომვა აუცილებელია. სხვადასხვა სიდიდის გაზომვის ახალი საშუალებების ძიებით, საამისოდ საჭირო ხელსაწყო-მოწყობილობების შექმნით არის დაკავებული მეცნიერება, რომელსაც მეტროლოგია ჰქვია.

ოდოშსერი

სოფიკო დაუშვილი

ტრაბახის ამბავი

კახა ეზოში მოთამაშე ბავშვებს მიუახლოვდა და დიდ ღიპზე ხელი ამაყად დაირტყა.

–ეგ რა არის?

–ღიპია!

–ღიპი? მერე, ერთ ღამეში გაგეზარდა? – დაეჭვდა თიკო.

–ჰო, ერთ ღამეში. არ გჯერა?

–აუ, რამხელაა! – ბიჭებმა ბურთის თამაში შეწყვიტეს და კახას მიაშტერდნენ.

–რა მაგარია!

–ეგეთი ღიპი მეც მინდა.

–მართლა გინდათ? – ეშმაკურად გაიღიმა კახამ.

–გვინდა!

–მაშინ ძილის წინ შეჭამეთ რაც შეიძლება დიდი ტორტი და ბევრი ხაჭაპური, დალიეთ ხუთი ბოთლი ლიმონათი დ სამი ჭიქა რძე. ფაფა არავის დაავიწყდეს.

–ფაფა აუცილებელია? – იკითხა ვიღაცამ.

–აუცილებელი! – მოკლედ მოჭრა კახამ.

–მოიცა, მოიცა, შენ მგონი ჯემპრში რაღაც გიდევს! – შესძახა კეპიანმა ბიჭმა.

–არაფერიც არ მიდევს. მოდი და ნახე!

კეპიანმა კახას თითი მიაჭირა.

–მართალი მუცელია! – ბიჭს აღფრთოვანებისაგან თვალები გაუბრწყინდა.

–მეც გავსინჯავ, – თქვა თიკომ.

–გასინჯე რა!

თიკომ ღიპზე ხელი გადაუსვა და გაიღიმა.

–რა იყო?! – შეშფოთდა კახა.

–არაფერი, ნამდვილი ყოფილა.

–შეჭამეთ რაც შეიძლება ბევრი შოკოლადი, – კიდევ უფრო დამაჯერებლად განაგრძო კახამ.

ბავშვები ღიპს მოწიწებით დასცქეროდნენ და ცდილობდნენ კახას ნათქვამიდან არაფერი გამორჩენოდათ. თიკო ბავშვებს გაშორდა და სახლის სადარბაზოში გაუჩინარდა. უკან დაბრუნებული კი ლაპარაკით გართულ კახას ფრთხილად მიეპარა და ღიპს ნემსი აძგერა. ტკაცი, დაიძახა მუცელმა და ღიპიც უმალ გაქრა. თიკომ დარცხვენილ კახას ჯემპრი აუწია. ტრაბახა ბიჭის ფეხებთან ბუშტის ნაფლეთები დაცვივდა.

შენი თანატოლი



ანი ბიწაძე

პატარა ანი ბიწაძე ჯერ მხოლოდ მეორეკლასელია, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი აქვს, რომ აუცილებლად მომღერალი გახდება. თქვენ წარმოიდგინეთ, კუდრაჭამ ისიც კი იცის, როგორი იქნება სცენაზე – ჩაიცვამს მძივებით გაწყობილ ლამაზი ფერის გრძელ ან მოკლე კაბას, ხელში მიკროფონს დაიჭერს, თმა ძალიან ლამაზად ექნება გაკეთებული და იმღერებს ძალიან ლამაზ სიმღერას ბავშვებზე ან ყვავილებზე, სათამაშოებზე ან სიკეთეზე. რა თქმა უნდა, მისი სიმღერა ყველას მოეწონება, მიართმევენ ბევრ ლამაზ ყვავილს და იქნება ძალიან პოპულარული მომღერალი ანი ბიწაძე.

ნაბადული
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბასეტის ჯიშის ძაღლი ტანდაბალიც არის და ძალიან დიდი ყურებიც აქვს, ამიტომაცაა, რომ სულ ძირს ეთრევა ისინი, ხშირად ფეხებსაც იდგამს ზედ, ჭამის დროს ხომ ერთიანად ამოგანგლული აქვს ხოლმე (ზოგი თავის ბასეტს ჭამის დროს ყურებს ზევით უწევს და ბაფთით ან სპეციალური სამაგრით უკრავს).

ამ ბასეტს კი, რომელსაც ჯეფრისი ჰქვია, რეკორდული სიგრძის ყურები აქვს, გაშლილი სახით თითოეული მათგანის სიგრძე ნახევარი მეტრია. ამის წყალობით ინგლისის სასექსის საგრაფოში მცხოვრები ჯეფრისი გინესის წიგნში მოხვდა, საზრიანმა და წინდახედულმა პატრონმა კი მისი ოთხფეხა მეგობრის ყურები 48 ათას დოლარად დააზღვია.

***

მისი თანამოძმეები რომ საზრიანი და გონიერი ფრინველები არიან, ეს ამ ყვანჩალამაც დაადასტურა. ბრიტანელმა მეცნიერებმა ოქსფორდის ერთ-ერთ ლაბორატორიაში ასეთი ექსპერიმენტი ჩაატარეს. ვერტიკალური ძილის ფსკერზე ხორცის ნაჭრებით სავსე პატარა კალათი დადგეს და იქვე ყვავიც დასვეს. ყვავი ადვილად მიხვდა რომ ხორცს ვერ ჩაწვდებოდა და სულ მალე ისიც მოიფიქრა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. მან თვითონ მოხარა მავთული, მიღებული კუჭი მოიმარჯვა და ხორციც მოიპოვა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქი თინეიჯერებისთვის

ქრიქინა ხარ თუ ქიანქვერა?

ცხადია, გასსოვთ ჭრიჭინას და ჭიანჭველას არაკი და ისიც იცით, რომ ჭრიჭინა სტუნვა-სიმღერაში ატარებდა დროს, ჭიანჭველა კი ამ დროს ზამთრისათვის ემზადებოდა, შრომობდა. ჭრიჭინოველას უდარდელი ცხოვრება არ შერჩა, მაგრამ ჭიანჭველამაც რომ ვერ ისამოვნა მაინცდამაინც? საკვები კი მოიმარაგა, მაგრამ ზაფხულში ფელი მოიფყვიტა და მრავალი სიამეც დაიკლო? რომელი იყო მართალი – ჭრიჭინა თუ ჭიანჭველა? ადამიანთა უმრავლესობა შრომის პატივისცემას ქადაგებს, დროს ტარებას კი გმობს. საზოგადოების ნაწილს, ცნობიერებაში საოცარი თვალსაზრისი ჩამოუყალიბდა – მუყაით და გამრჯე მშრომელს ნამდვილი გართობა-დასვენება არ შეუძლია, ხოლო ვინც მოლხენა და დროს ტარება იცის, ის სათანადოდ ვერ მუშაობს. ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ ჰეშმარიტი ფინაალდეგობა მენტალიტეტთა სხვაობაშია და ვისაც შრომა-გარჯა შეუძლია, იმან მხიარულება და გართობაც იცის, ხოლო ვინც არასდროს მხიარულობს, იმის შრომა ვერასდროს იქნება ნაყოფიერი. თუმცა ჩვენ შორის ასპროცენტიანი ჭიანჭველის მოძებნაც ისევე ძნელია, როგორც ასპროცენტიანი ჭრიჭინის, ბევრი რამ დამოკიდებულია კონკრეტულ სიტუაციაზე.

შენ კი არასდროს დაფიქრებულხარ, ვინ ხარ – ჭრიჭინა თუ ჭიანჭველა? რა გირჩევნია: შრომა თუ გართობა? თუ შენ ეს გაინტერესებს, უპასუხე იტალიელი ფსიქოლოგების მიერ შედგენილი ტესტის კითხვებს.

ტესტში 20 კითხვაა: 10 „მწვანე" და 10 „შავი". შენ ყველა კითხვას უნდა გასცე პასუხი, აირჩიე პასუხების ის ვარიანტი, რომელსაც შენთვის შეასაფერისად მიიჩნევ. ქულების დათვლისას ორ შედეგს მიიღებ – „მწვანეს" და „შავს". მიღებული შედეგი საკვანძო ცხრილს შეადარე და გაიგებ ჭრიჭინა ხარ თუ ჭიანჭველა.

„მწვანე" კითხვები

1. როდის ერთობი ყველაზე მეტად?

ა. დილით

ბ. ნასადილევს.

გ. საღამოს.

დ. ღამე.

2. რა გიყვარს ყველაზე მეტად?

ა. სეირნობა.

ბ. კითხვა.

გ. ყურის გდება.

დ. ყურება.

3. ჩემთვის სასიამოვნოა საღამო, რომელსაც ვატარებ...

ა. მეგობრებთან ერთად.

ბ. ახლობელ ადამიანთან.

გ. თეატრში.

დ. ჩემს საყვარელ საქმიანობაში.

4. როცა ჩემი ოთახი მექნება, შიგ პირველ რიგში დავდგამ:

ა. მაგიდას.

ბ. საწოლს.

გ. კარადას.

დ. სკამს.

5. სასიამოვნო ადამიანზე ვიტყოდი, რომ ის:

ა. სიმპათიურია.

ბ. სათნოა.

გ. სუფთაა.

დ. კეთილმოსურნეა.

6. როცა მეგობრის დაძახება მინდა, მას ასე მივმართავ:

ა. ე, გესმის!

ბ. გიორგის (ნინოს) სიცოცხლე!

გ. სახელით მივმართავ.

დ. სხვადასხვანაირად, ხან რას ვიგონებ, ხან რას.

7. ყველაზე მხიარულად ის მომენტები მიმაჩნია, რომლებიც...

ა. იმპროვიზებულია.

ბ. კარგად არის მომზადებული.

გ. ჩემ მიერაა არჩეული.

დ. სხვების მიერ არის ორგანიზებული.

8. ისეთი წერილი მომწონს, რომელიც იწყება:

ა. მიმართვით „ბატონო", „ქალბატონო".

ბ. სიტყვებით: „გწერთ, რათა..."

გ. პირდაპირ წერილის ტექსტით.

დ. ჩემი სახელით.

9. როცა არდადეგებზე ვფიქრობ წარმოვიდგენ:

ა. ზღვის პლაჟს, ან მთებს.

ბ. ახალ ნაცნობობას.

გ. მოგზაურობას და მოძრაობას.

დ. დასვენებას და სიმშვიდეს.

10. ხვალ ალბათ:

ა. სამომავლო გეგმებს დავსახავ.

ბ. დასახული ამოცანების შესრულებას დაივიწყებ.

გ. მივიღებ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩემს ზრდას შეუწყობს ხელს.

დ. დავისვენებ.

„შავი" კითხვები

1. დღის განმავლობაში:

ა. ბევრი არაფერი გამიკეთებია.

ბ. საკმაოდ ბევრი რამ გავაკეთე.

გ. უამრავი საქმე გავაკეთე.

დ. არ ვიცი, მიჭირს თქმა.

2. რა ფერისაა სწავლა?

ა. თეთრი, ყვითელი, ღია ფერის.

ბ. წითელი, ნარინჯისფერი, ჩახჩახა.

გ. მწვანე, ცისფერი, გრილი.

დ. შავი, ყავისფერი, მუქი.

3. სიტყვა „სწავლის" ანტონიმი.

ა. გართობა.

ბ. დასვენება.

გ. იღბალი.

დ. განცხრომა.

4. საქმე, რომელიც დღეს გავაკეთე, იმასთან შედარებით, რაც ადრე გამიკეთებია:

ა. უკეთესია.

ბ. არ ვიცი, რა ვთქვა.

გ. დაახლოებით ისეთივეა.

დ. უარესია.

5. რომ შეიძლებოდეს სახელი გადავირქვა:

ა. უარს ვიტყოდი.

ბ. ვინმეს რჩევას ვთხოვდი.

გ. სიხარულით შევუდგებოდი შესაფერისი სახელის შერჩევას.

დ. რომელიც მომხვდებოდა, იმ სახელზე შევაჩერებდი არჩევანს.

6. როგორ წარმომიდგენია იდეალური თანაკლასელი, მეგობარი?

ა. ძალიან ნიჭიერი და ჭკვიანი.

ბ. მოხერხებული და მხიარული.

გ. არც მაინცდამაინც მშვიდი და სერიოზული.

დ. ის, ვისთანაც ვმეგობრობ, ჩემთან არ სწავლობს.

7. რა მოქმედებს ყველაზე მეტად სწავლაზე?

ა. საერთო ფინანსური მდგომარეობა.

ბ. კეთილი ურთიერთობა კლასში.

გ. სიმშვიდე ოჯახში.

დ. ჩემი პირადი განწყობა.

8. მომავალში ვაპირებ:

ა. ვიმუშაო.

ბ. დრო ვატარო.

გ. მომავალზე ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა მაქვს.

დ. ნათლად ვხედავ ჩემს მომავალს და სავსებით დარწმუნებულიც ვარ მასში.

9. ჩემს სწავლაზე ვფიქრობ როგორც:

ა. აღმავლისა და დაღმავლის მონაცვლეობაზე.

ბ. მუდმივ პროგრესზე.

გ. თანდათანობით დაღმასვლაზე.

დ. უწყვეტი ჰორიზონტალური ხაზის სახით მაქვს წარმოდგენილი იგი.

10. ყველაზე მეტად რომელი განსაზღვრება ესადაგება ჩემს მასწავლებელს?

ა. ბრწყინვალე.

ბ. საეჭვო.

გ. რთული.

დ. დიდი იმედების მომცემი.

ქულების დათვლა

„მწვანე" კითხვები

კითხვა 1: ა-5, ბ-2, გ-1, დ-4.
კითხვა 2: ა-1, ბ-2, გ-5, დ-4.
კითხვა 3: ა-4, ბ-1, გ-2, დ-5.
კითხვა 4: ა-4, ბ-1, გ-2, დ-5.
კითხვა 5: ა-2, ბ-1, გ-5, დ-4.
კითხვა 6: ა-2, ბ-4, გ-1, დ-5.
კითხვა 7: ა-1, ბ-4, გ-5, დ-2.
კითხვა 8: ა-1, ბ-4, გ-5, დ-2.
კითხვა 9: ა-2, ბ-5, გ-4, დ-1.
კითხვა 10: ა-5, ბ-2, გ-4, დ-1.

„შავი" კითხვები

კითხვა 1: ა-2, ბ-4, გ-5, დ-1.
კითხვა 2: ა-5, ბ-2, გ-4, დ-1.
კითხვა 3: ა-5, ბ-2, გ-4, დ-1.
კითხვა 4: ა-5, ბ-2, გ-4, დ-ა.
კითხვა 5: ა-5, ბ-4, გ-1, დ-2.
კითხვა 6: ა-5, ბ-4, გ-1, დ-2.
კითხვა 7: ა-5, ბ-4, გ-2, დ-1.
კითხვა 8: ა-5, ბ-1, გ-4, დ-2.
კითხვა 9: ა-4, ბ-5, გ-1, დ-2.
კითხვა 10: ა-5, ბ-2, გ-1, დ-4.

შედეგები

15 ქულა: შენ მარტო სწავლა განიჭებს სიამოვნებას. ეს არის შენი ერთადერთი საქმე. ნამდვილი ჭიანჭველა ხარ.

16-30 ქულა: სწავლა გარკვეულ სიამოვნებას განიჭებს, მაგრამ მარტო სწავლით არ კმაყოფილდები.

30 ქულაზე მეტი: მზად ხარ ყველგან და ყოველთვის იმხიარულო: სკოლაშიც, მეგობართა წრეშიც, დასვენების დროსაც, კარგი იქნება, თუ უფრო მეტად შეიკავებ თავს.

***

ძალიან დატვირთული ხარ, თუ სულ არ გაერთობი, ბოლოს და ბოლოს ეს შენს სწავლაზეც აისახება. მეტი იმხიარულე და გაერთე!

***

შენ არასოდეს ერთობი, მოწყენილი და ინერტული ხარ. როგორც სკოლაში, ისე თავისუფალ დროს, მეტისმეტად პასიური ხარ და აშკარად გაკლია დადებითი ემოციები, მაგალითად – სიყვარული!

***

არც ცივი ხარ და არც ცხელი. გიჭირს გადაწყვეტილების მიღება, მერყეობ სწავლის და დროს ტარების სურვილს შორის.

***

სწავლის სურვილი ნაკლებად გაქვს, ზოგჯერ გართობისაც. ეძებე მოკავშირეები და თანამოაზრეები!

***

გართობა-მხიარულებას მარტო მაშინ ახერხებ, როცა მკაცრად გაქვს გამიჯნული სწავლა და გართობა.

***

სწავლა გძულს და სულ ცდილობ თავი აარიდო საკუთარ მოვალეობებს. ნამდვილი ჭრიჭინა ხარ!

ოდოშხერი

„ჩემი ოცნების სკოლა"

როგორი უნდა იყოს ჩემი ოცნების სკოლა, მისი სამერმისო იერსახე? ჩემი წარმოდგენით, ოცნების სკოლა ბევრწილად სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე ახლაა...

ადამიანს ოცნება ცხოვრებისეულ ყველა საკითხზე შეუძლია. ბავშვის ოცნება უკიდეგანოა. ლამაზი ოცნება სად არ წაგიყვანს... ხან ზეცაში აგაფრენს ფარფატა ფრთებით და მსოფლიოს შემოგატარებს, ხანაც ქვესკნელსაც სამოთხედ წარმოგიჩენს.

ჩვენთვის, მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, უპირველესი ოცნება სკოლაზე ოცნებაა. ცხადია, ისეთი სკოლა გვინდა, სადაც ისე მაღალ დონეზე იქნება კომპიუტერული სისტემა, რომ ყოველგვარი ჩიჩინის გარეშე მივიღოთ განათლება, ვიყოთ ჩვენი წინაპრების ღირსეული შვილები.

ცხოვრება წინ მიდის. XXI საუკუნის მომავალი ათწლეულები ბევრს გვპირდება, რაც კომპიუტერული სისტემების დანერგვით და უცხო ენების გაძლიერებული სწავლებით მიიღწევა.

საზღვარგარეთ წასვლა არ უნდა გვჭირდებოდეს, არც სამუშაოდ და არც სასწავლებლად. ეს დღევანდელი დღის სიდუხჭირის ბრალია, რაც აუცილებლად დაიძლევა. მთავარია სწავლა-განათლების პროცესის გარდაქმნა.

ჩემი მშობლიური გიმნაზია, ქუთაისის წმინდა ნინოს სახელობის გიმნაზია 155 წლის გახდა. აქ აღიზარდა და დღესაც სწავლობს უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა. გიმნაზიის აქტიური ცხოვრების და მდიდარი ფანტაზიის ნაყოფია კრებულების „ბაგრატი-1000"-ის და „გელათის" გამოცემა. მათში წარმოდგენილია მცირე ზომის გამოკვლევები, ჩანახატები, ლექსები და ნახატები, სასკოლო გაზეთი „5 +" და ჩემი რედაქტორობით გამოცემული ხელნაწერი გაზეთები: „ვუნდერკინდი", „ნორჩი ეკოლოგი", ჟურნალი „მშვიდობის ელჩი" და სხვა. ამას ემატება სხვადასხვა კონკურსებისა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობა, დაჯილდოება დიპლომებით და სიგელებით.

ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ არასაკმარისი ოცნების სკოლისათვის.

ქუთაისში XIX საუკუნის 80-იან წლებში გამომავალი ახალგაზრდული პრესის მასალების თანახმად, მაშინდელი სკოლები და გიმნაზიები შემოქმედებითი საქმიანობით კი გამოირჩეოდნენ, მაგრამ სახელმწიფოებრივი ზრუნვა ნაკლები იყო. თუ გავიხსენებთ ცნობილი მეცნიერის, გიმნაზიელი ნიკო მარის შემოქმედებას, რომელიც იყო ხელნაწერ ჟურნალ „ბედის" რედაქტორი, ვნახავთ, რომ მისი და მისი თანატოლების ოცნების საგანი იყო საქართველოს განთავისუფლება, არსებულის შეცვლა და განათლების სისტემის გარდაქმნა, მაგრამ მაშინდელი სკოლა და განათლების სისტემა არ იძლეოდა საშუალებას, რომ შეცვლილიყო არსებული ატმოსფერო.

დღეს ჩვენი ცხოვრების საყოველთაო პროგრესი გვიქმნის იმის საფუძველს, რომ ოცნების სკოლა გაცილებით მაღალი დონის იყოს.

მინდა თანამედროვე სკოლები აშენდეს თანამედროვე არქიტექტურული გეგმით. დაკომპლექტდეს სანიმუშო მასწავლებლებით, რომლებიც ყოველი ბავშვის ფსიქიკური მონაცემების გათვალისწინებით მიუდგებიან მოსწავლეებს. მოსწავლეები სკოლაში ერთნაირი ფორმით უნდა დადიოდნენ, რათა ზოგიერთები არ დაიჩაგრონ...

მომავლის სკოლაში კაბინეტ-ლაბორატორიები, მოხერხებული მერხები, კომპიუტერები და ცდების ჩატარების უამრავი საშუალება იქნება. ახლა კი მერხები რომ მერხებია, ისინიც კი არ იძლევა სასწავლო ნივთების შენახვის საშუალებას და ჩანთაც ფეხებთან გიდევს. ჩემს საოცნებო სკოლაში ასე არ იქნება. მომავალში სკოლა გაცილებით მაღალი დონის გახდება და ასრულდება დიდი პოეტის მოწოდება: „მიეცი ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას"... ასევე დიდი გასაქანი ექნება ინდივიდუალურ შესაძლებლობებს. ჩემი ოცნების სკოლაში გაიზრდებიან სახელგანთქმული მეცნიერები და მამულიშვილები. და მე იმედი მაქვს, რომ XXI საუკუნეში საქართველო ახლებურად გაბრწყინდება და დიდების ზენიტს მიაღწევს.

ლაშა ბესხი,
ქუთაისის წმ. ნინოს სახ. გიმნაზიის მოსწავლე, 14 წლის. პრეზიდენტის სახელობის სტიპენდიატი პუბლიცისტიკაში.

P.S. ლაშამ თავისი ოცნების სკოლა დახატა კიდეც. მის ნახატებს გარეკანის მე-4 გვერდზე ვბეჭდავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაინც რა არის ასტროლოგია?

ასტროლოგიით, ოკულტიზმით, ნაირგვარი ჰოროსკოპებით გატაცებამ დღეს ლამის საყოველთაო ხასიათი მიიღო. ყველა – დიდი თუ პატარა იჩხრიკება სხვადასხვა სახის ლიტერატურაში, გაფაციცებით ადევნებს თვალს ასტროლოგთა წინასწარმეტყველებებს გაზეთებში და ტელეეკრანზე. ის კი ცოტა ვინმემ იცის, თუ რა არის ასტროლოგია, საიდან მომდინარეობს ჰოროსკოპების შედგენის ტრადიცია, რა მიზანს ემსახურებოდნენ და ემსახურებიან ისინი?

ეს სიტყვა ორ ბერძნულ ფუძეს აერთიანებს: „ასტრონ" (ვარსკვლავი) და „ლოგო" (მეცნიერება). ასტროლოგები ერთმანეთს უჯერებდნენ გარკვეულ მოვლენებს ადამიანის ცხოვრებაში და პლანეტათა მდგომარეობას და მიიჩნევდნენ, რომ მნათობთა ამგვარივე ან მსგავსი მდგომარეობის დროს შესაძლებელია მოვლენები განმეორდეს და, მაშასადამე, შესაძლებელია ადამიანების, ოჯახების, ხალხების მოქმედებათა წინასწარმეტყველებაც. ისინი მართლაც ბევრ რამეს წინასწარმეტყველებდნენ: ომებს, გვალვებს, ქარიშხლებს, წვიმებს, მიწისძვრებს, მზის დაბნელებებს და ა.შ.

ძველად იმდენად სჯეროდათ ასტროლოგებისა, რომ მათი რჩევის გარეშე არც ერთ სახელმწიფო საქმეს არ წამოიწყებდნენ. ასტროლოგებს მიმართავდნენ ხელმწიფეებიც, დიდვაჭრებიც, მიწათმოქმედებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, ექიმებიც კი. ასტროლოგიამ საუკუნეებს გაუძლო და დღესაც სავსებით სიცოცხლისუნარიანი და ქმედითია. იმაზე, რომ იგი ამჟამადაც დიდ პატივშია, თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრი ფირმა უარს ეუბნება სამუშაოზე მიღებაზე, მაგალითად, თევზების ნიშნის ქვეშ დაბადებულ ადამიანებს „მათი გაუბედაობისათვის", კუროს – „სიზარმაცისა და არა ეფექტურობისათვის", ღრიანკალს – „უხეშობისა და გაიძვერობისათვის". მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნებში იმართება ასტროლოგთა სიმპოზიუმები თუ კონფერენციები, გამოდის მრავალი სახის ლიტერატურა, იყიდება სამკითხაო ავტომატები. მომრავლდა სპეციალისტ-ოკულტისტთა რაოდენობა.

ძველი ხალხების ელემენტარული ასტრონომია

დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს და ამიტომ წლის განმავლობაში მზე ვარსკვლავიერი ცის სხვადასხვა მონაკვეთებზე პროეცირდება. ასე ჩნდება მისი წლიური მოძრაობა ვარსკვლავთა ფონზე. გზას, რომელზეც მზე გადაადგილდება, ეკლიპტიკა ეწოდება. („ეკლიპსი" ბერძნულად დაბნელებას ნიშნავს) ეკლიპტიკა თორმეტ თანავარსკვლავედს გაივლის და თითოეულ მათგანში დაახლოებით ერთ თვეს რჩება და „აბნელებს" მას. ესენია: თხის რქა, მერწყული, თევზები, კურო და სხვა. ეს ძირითადად ცხოველთა სახელწოდებებია, თვით თანავარსკვლავედთა სარტყელსაც ამიტომ ჰქვია „ზოდიაქოსი" (ბერძნ. „ზოდიაქოს კუკლოს" ანუ „ცხოველთა წრე").

მზის მიერ ზოდიაქოს ყველა თანავარსკვლავედის გავლას წლიური ციკლი აგვირგვინებს. პლანეტებიც გამუდმებით იცვლიან „საცხოვრებელ" ადგილს, ამასთან ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი დედამიწისეულ ცაზე მხოლოდ ზოდიაქოს თანავარსკვლავედში შეიმჩნევა.

პლანეტა-ღმერთების ნიშნები ჰოროსკოპებში გადაჰქონდათ. გათვალისწინებული იყო ორი საწყისის შეთავსება: მუდმივის, რომელსაც უცვლელი ზოდიაქოს წრე განსაზღვრავს, და ცვლადის, რომელიც პლანეტათა განლაგებას ასახავს. იუპიტერი და სატურნი „სიკეთეს" თესდნენ, მარსი კი „ბოროტებას", მერკურის „სიკეთე" მოჰქონდა ადამიანებისათვის, ბოროტებისათვის კი პირიქით, – „ბოროტება". პლანეტის სიკეთე ან სიბოროტე მისი ბუნების სიმშრალეს ან ნესტიანობას, მის სიმხურვალეს ან სიცივეს უკავშირდებოდა. მზის შემდეგ ყველაზე მხურვალედ მარსი ითვლებოდა, მერე იუპიტერი, მერე ვენერა. ცივ პლანეტად ითვლებოდა მთვარე, ყველაზე ცივად – სატურნი. უძრავ ვარსკვლავთაგან ყველაზე მხურვალე ვარსკვლავად სირიუსი ითვლებოდა.

ითვლება, რომ მზე და პლანეტები იმ მომენტში ზემოქმედებენ ყველაზე ძლიერად დედამიწასა და ადამიანებზე, როცა კაშკაშა ვარსკვლავების სიახლოვეს იმყოფებიან. პლანეტების ხილული ნიშნების მიხედვით მათ დახასიათებები ეძლეოდა. მარსი ბრაზიანად და ბოროტად ითვლებოდა, მერკური მოუსვენრად და ხტუნიად, სატურნი – დინჯად და დარბაისელად. შესაბამისი პლანეტების სითბო და სინათლე ხელს უწყობდა სხვადასხვა ადამიანების „სითბოსა" და „სინათლეს". ასე, მაგალითად, ნოტიო და მელანქოლიური მთვარე, ნახევრად სიბნელეს შეჩვეულ პროფესიებს მფარველობდა: მსახიობებს, მედუქნეებს, მევახშეებს, მისნებს. მოძრავი და ცვალებადი მერკური ხელს უწყობდა მეცნიერებისა და ხელოვნების ადამიანთა, კერძოდ, თავად ასტროლოგთა აზრის სისხარტეს. მარსი იმათ სწყალობდა, ვისაც წითელი ფერი იტაცებს: მჭედლებს, ექიმებს, ჯალათებს, მზარეულებს, მეომრებს. იუპიტერის მშვიდი შუქი ბრძენაცებსა და მიწათმოქმედებს უწყობდა ხელს. ბერებსა და ხანდაზმულ ადამიანებს სატურნი ეხმარებოდა მისი მკრთალი სინათლით.

რა არის ჰოროსკოპი?

ბედს რომ წინასწარმეტყველებენ, ასტროლოგები ჰოროსკოპებს (ბერძნული „ჰოროსკოპუს" – დროზე დამკვირვებელი) ადგენენ. ასე ეძახიან ხალხში ფურცლებს, რომლებშიც ზოდიაქოს ყოველ ნიშანს ამ ნიშნის ქვეშ დაბადებული ადამიანის ფსიქიკური ნიშან-თვისებები და შესაძლო მიდრეკილება-გატაცების მონაცემები იწერება. სიტყვის სპეციალური მნიშვნელობა კი ასეთია– „ჰოროსკოპი" ადამიანის დაბადების მომენტში ამომავალი ეკლიპტიკის წერტილია.

ასტროლოგია შემოსავლიანი საქმე იყო, მას მისდევდნენ ტიჰობრაგე, იოჰან კეპლერი და წარსულის სხვა ცნობილი მეცნიერები. რიგითი ასტროლოგები ასე იქცეოდნენ – ჩამოსხდებოდნენ ბორცვზე და ზოდიაქოს ამომავალ თანავარსკვლავედს აფიქსირებდნენ. ბავშვის დაბადებას ასტროლოგის თანაშემწე ადევნებდა თვალს – სა-

გაგრძელება 28-ე გვ.

ჭირო მომენტში იგი გონგის ან მაშხალის მეშვეობით აცნობებდა ხოლმე მას ბავშვის გაჩენას. უფრო სახელოვან სპეციალისტებს მრავალკბილანიანი ხელსაწყოებიც ჰქონდათ, რომელთა დახმარებითაც ახერხებდნენ წარსულში პლანეტების მდგომარეობის აღდგენას და მომავალში მათი მდგომარეობის განჭვრეტას.

მეოთხე საუკუნეში სიცილიელმა ფ. მატერნმა ევროპაში პირველმა ჩამოაყალიბა მოძღვრება ე.წ. თორმეტი „სახლის" შესახებ, რომლის თანახმადაც ცა 12 „სახლად" არის დაყოფილი. ჰოროსკოპთან ყველაზე ახლოს, ჰორიზონტის დაბლა მდებარე სახლს სიცოცხლის სახლი ეწოდა. მერე მიდიოდა სიმდიდრის, ძმების, ნათესავების, შვილების სახლები და ა.შ. გამომდინარე პლანეტების ამ სახლებში განლაგებიდან, დგებოდა „ციური ფიგურა" და მისი ასპექტები. ფიგურებში წყვილ-წყვილად იყო შეჯერებული თვისებები: ძლიერი-სუსტი, ცხელი-ცივი, ლამაზი-ულამაზო, მაღალი-დაბალი, ფილოსოფიური-თავქარიანი და ა.შ.

ჰოროსკოპის სიტყვამრავლობას ნიშან-თვისებების შეჯერების ხარჯზე ღებულობდნენ. თუ, ვთქვათ, პირველ სახლში (სიცოცხლე) მზე (კაშკაშა) იმყოფებოდა, იგულისხმებოდა, რომ ახალშობილი ჯანმრთელი და წიგნიერი იქნებოდა. სატურნი (მკრთალი სინათლე) იმავე სახლში ზანტ და ხელმრუდ ადამიანს მოასწავებდა. მერკური (მოძრავი, სხარტი) მეორე სახლში (სიმდიდრე) ვაჭრობაში ფხიანობაზე მეტყველებდა. მთვარე (ბინდი) მეხუთე სახლში (შვილები) მოსალოდნელ მრავალშვილიანობას იუწყებოდა... დაახლოებით ამავე პრინციპზეა აგებული აღმოსავლური კალენდრები.

ბედნიერი და ნავსიანი დღეები

პლანეტა-ღმერთების დახასიათებები კვირის შესაბამის დღეებზე ვრცელდებოდა. ჯერ კიდევ ძველ ქალდეაში ასტროლოგებს მიაჩნდათ, რომ არსებობს ბედნიერი დღეები, როდესაც მნათობები გონივრული და სწორი საქციელისათვის განაწყობენ ადამიანებს. ასეთია, მაგალითად, კვირა – მზის დღე. ნავს დღეებში კი მნიშვნელოვანი საქმეების წამოწყება არ ღირს. ასეთი დღეა შაბათი (სატურნის დღე). ჰიპოკრატეც, იბნ სინაც და პარაცელსიც ზოგიერთი დაავადების მკურნალობის დროს აუცილებლად ითვალისწინებდნენ წელიწადისა და დღე-ღამის დროს, ის კი არა, ჰიპოკრატე მნათობთა ამოსვლა-ჩასვლასთან დაკავშირებულ „კრიტიკულ დღეებსაც" უწევდა ანგარიშს. იაპონელ ასტროლოგებს მიაჩნდათ, რომ „ნავსი" დღეები ყოველ ადამიანს ერთი წლის პერიოდულობით, დაახლოებით ერთი და იგივე რიცხვში უმეორდება. გასული საუკუნის მიწურულს ბერლინელმა ექიმმა ვ. ფლისმა თავის პაციენტზე დაკვირვების შედეგად დაადგინა, რომ ადამიანებს, და პირველ რიგში ბავშვებს, რეგულარულად უმეორდებათ ზოგი დაავადება. მისი აზრით, თითოეული ადამიანის სიცოცხლეში, დაწყებული დაბადების მომენტიდან, ორი შინაგანი რიტმი მოქმედებს: 23-დღიანი („ფიზიკური") და 28-დღიანი („ემოციური"). „ფიზიკური" რიტმი ეხება ისეთ თვისებებს, როგორიცაა გამბედაობა, შეუპოვრობა, ნებისყოფა. ფიზიკური ძალა, „ემოციური" კი – მგრძნობიარობას, ინტუიციას, აღგზნებადობას. თითოეული პერიოდი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს – „დადებითად" და „უარყოფითად". ფიზიკური რიტმის დადებით ნახევარპერიოდში ადამიანი გრძნობს ძალების მოზღვავებას, შრომისუნარიანობის მოატებას, ეს ოპტიმალური დღეებია სპორტისათვის, ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობისათვის. ემოციური ციკლის დადებით ფაზაში, რომლის ხანგრძლივობა დაახლოებით მთვარის თვის ტოლია, ადამიანი უფრო ოპტიმისტური, კეთილი, მხიარული და ხალისიანია. ინტელექტუალური ციკლის დადებით ფაზაში ადამიანი ადვილად სწავლობს, უფრო საინტერესო და სწორ გადაწყვეტილებებს ღებულობს. უარყოფით ფაზებში კი ყოველივე პირიქით ხდება.

ფაზების ნიშნის ციკლის დღეებს კრიტიკულს უწოდებენ. სწორედ ამ დღეებში ხდება უბედური შემთხვევები, ემოციური ჩავარდნები. კრიტიკული დღეების წინასწარ გამოთვლა საკვანძო შესაძლებელია. შვეიცარიასა და იაპონიაში ისეთ საათებსაც კი უშვებენ, რომლებიც მათი მფლობელის ბიორიტმების ფაზებს უჩვენებს. მრავალი უცხოური ფირმა ითვალისწინებს ამგვარი დღეების არსებობას, შედეგად კი მნიშვნელოვნად მცირდება ავარიებისა და ტრავმატიზმის შემთხვევები. დროთა განმავლობაში სარწმუნო გახდა ესკულაპების შეხედულება დღე-ღამის ამა თუ იმ მონაკვეთში მკურნალობის თავისებურებებზე. მაგალითად, დადგენილია, რომ კბილების მგრძნობიარობა ტკივილისადმი 18 საათზეა მაქსიმალური, მინიმალური კი იგი ნაშუაღამევს ხდება. ღამე ხშირდება ბრონქიალური ასთმის, სტენოკარდიის შეტევები, უფრო ხშირია მიოკარდის ინფარქტი და ინსულტი. ინსულტი ადრენალინის შემადგენლობა მაქსიმუმს 9 საათზე აღწევს, მინიმუმს კი – 18 საათზე.

თანამედროვე ასტროლოგები ადამიანის დაბადების დღის მიხედვით ადგენენ მის ზოდიაქოს ნიშანს, ფსიქიკურ ნიშან-თვისებებს. საილუსტრაციოდ ერთ-ერთი ანონიმური „დიდი ჰოროსკოპის" ნაწყვეტს გავიხსენებთ: 1) კურო; 2) 21.03-20.04; 3) ამეთვისტო; 4) ცეცხლის ნიშნის ქვეშ; 5) მარსის მფარველობის ქვეშ; 6) მამაკაცებისათვის: „ძლიერი ნატურა, ცხოველმყოფელობა, ენერგია. მათ ხელმძღვანელის ტალანტი აქვთ. ახასიათებთ ოპტიმიზმი, პატიმოყვარეობა, ერთგვარი იმპულსურობა და გაზვიადების მიდრეკილება..." 7) ქალებისათვის: „ამ ნიშნის ქვეშ დაბადებულს თითქმის ყოველთვის აქვს პროფესია, ისინი ადვილად ითვისებენ მამაკაცურ პროფესიებს..."

როგორც ვხედავთ, ასტროლოგები ზოდიაქოს ყოველი ნიშნისათვის თავის ფსიქოლოგიურ ტიპს გამოყოფენ, ასეთი სულ 12-ია. არსებობს ფსიქოტიპების მრავალგვარი კლასიფიკაცია. მაგალითად, ამერიკელი ფსიქოლოგი უ. შელდონი სხეულის აგებულების მიხედვით სამ ტიპს გამოყოფს: სქელები და მსუქნები, ბეჭგანიერები და დაკუნთულები, გამხდრები და სუსტები. თითოეულ მათგანს გარკვეული ფსიქიკური ნიშან-თვისებები ახასიათებს. პირველები: დინდლოები არიან, მოძრაობა მოშვებული აქვთ, უყვართ კომფორტი, მოსწონთ, როცა მათ აქებენ, ადვილად პოულობენ საერთო ენას, ნასვამ მდგომარეობაში ძალზე კონტაქტურები და რბილები არიან, მძიმე წუთებში ადამიანებისაკენ ილტვიან. მეორეებს თავდაჯერებული მიხვრა-მოხვრა ახასიათებთ, უყვართ თავგადასავლები, ემოციურად თავდაჭერილები არიან, ნასვამ მდგომარეობაში აგრესიულობა და მომთხოვნელობა ახასიათებთ, მძიმე წუთებში მოქმედების მოთხოვნილებას განიცდიან. და მესამე ტიპი: – ამ ტიპის ადამიანებს შებოჭილი მიხვრა-მოხვრა ახასიათებთ, ისინი უკარებები, გულჩათხრობილები, ემოციურად თავდაჭერილები არიან, უყვართ თვითანალიზი, ალკოჰოლის მიმართ მდგრადობას იჩენენ, მძიმე მომენტში განმარტოებას ამჯობინებენ.

შეიძლება უბრალო ჰოროსკოპის შედგენა ბევრმა შეძლოს, მაგრამ ასტროლოგიის ჭეშმარიტი არსი ცოტას თუ ესმის.

ჩოგის და ჩაცის ანათებს ციცინათელა?

ვინ იცის, რამდენი თქვენგანი გაუცებია ზაფხულის ღამეში ღობის ძირში თუ ბუჩქნარში მოულოდნელად აკიაფებულ იდუმალ ციმციმს. რამდენ თქვენგანს არ დაუჯერებია ერთი უბრალო პატარა შავი მწერის ახლოს ხილვისას, რომ სწორედ ის არის ციცინათელა... ახლა რამდენ თქვენგანს დაუხურავს გაწბილებულს ენციკლოპედიის ტომი, მას შემდეგ, რაც თითქმის არაფრის მთქმელი და პროზაული ცნობები ამოუკითხავს ციცინათელას შესახებ: „ხოჭოების ოჯახი. აქვთ წაგრძელებული მუქი ფერის სხეული. დედლები მატლს ჰგვანან. ზოგი სახეობის ზრდასრულ დედლებს მუცლის ბოლოზე აქვთ მანათობელი ორგანო. მრავალი სახეობის მატლები და კვერცხები ანათებენ. ოჯახში 2 ათასამდე სახეობაა"...

ბიოლუმინესცენცია ჰქვია თურმე იმ ნათებას, ასე რომ გვაკვირვებს და გვხიბლავს. თურმე ეს მოვლენა ციცინათელების გარდა, ასობით სხვა ორგანიზმსაც ახასიათებს (თევზებს, თავფეხიან მოლუსკებს, სოკოებს). დედამიწაზე არა ერთი ადგილია ისეთი, ციცინათელებს რომ რატომღაც აურჩევიათ სამკვიდროდ. ერთ-ერთი მათგანია მალაიზიის, ჯოხორის შტატი, უფრო სწორედ ამ შტატის ტყე. ციცინათელებს ამ ტყეში ერთი ხე აქვთ ამოჩემებული. ამ ხის ტოტებზე ბინადრობენ, ამ ხის ტოტებზე ანათებენ ღამ-ღამობით ათასობით ციცქნა ნათურას, ამ ხეს ამსგავსებენ მოციმციმე სასწაულს. თავიდან ციმციმი უწესრიგო, ყოველგვარ რიტმს მოკლებულია. მერე კი, როცა მწერები ერთ-ერთ ტოტზე იყრიან თავს, ისინი გარკვეული რიტმით იწყებენ ანთება-ჩაქრობას და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ყველა ერთ წრედშია ჩართული და ვიღაც უხილავი გარკვეულ ინტერვალებში ატკაცუნებს გამომრთველს. ამბობენ ციცინათელების ხე ბუნების ვერცერთ საოცრებას ვერ შეედრებაო.

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ციცინათელების ციმციმის სიხშირე მათი სახეობისა და ჰაერის ტემპერატურის მიხედვით იცვლება. მაგალითად, მალაკური პტეროპტიქი დაახლოებით წამში ერთხელ ანთებს თავის შუქურას. ადამიანის თვალი მხოლოდ ერთ აფეთქებას ხედავს, სინამდვილეში კი მწერი თურმე ორჯერ, წამის ერთი ოცდამეათედის ინტერვალით ანთებს და აქრობს თავის შუქურას. მეცნიერების დაკვირვებით, სინქრონულად მხოლოდ ციცინათელების ხეზე მობინადრე მამალი მწერები ანათებენ... თუმცა დედალი ციცინათელებიც იქვე იმყოფებიან, ან ოდნავ მოგვიანებით ჩნდებიან, მათი უღიმღამო ნათება მამლების რიტმულ ციმციმს არ ემთხვევა. ყველა ციცინათელა მაგარფრთიანების, ანუ ხოჭოების რაზმს განეკუთვნება. გამონაკლისი ახალზელანდიური ციცინათელაა, რომელიც თუმცა ორფრთიანთა რაზმის წევრად ითვლება, სოკოს კოღოების ნათესავია. მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ, როგორ აწარმოებენ გარკვეული ფერმენტები და ქსოვილები სინათლის გამომცემელ ნაერთებს, როგორ ურთიერთმოქმედებენ ეს ნივთიერებები.

რობერტ ბოილმა, რომელმაც პირველმა დაიწყო ბიოლუმინესცენციების ლაბორატორიული შესწავლა, 1667 წელს გამოარკვია, რომ მანათობელი ბაქტერიებისა და სოკოების სინათლე ქრება, თუ ორგანიზმებს ჟანგბადი აკლია.

1887 წელს რაფაელ დიუბუამ დაამტკიცა რთული ორგანული ნივთიერების არსებობა, რომელსაც მან ლიუციფერინი უწოდა. იმისათვის, რომ სინათლე გამოყოს, ეს ნივთიერება ფერმენტ ლიუციფერაზთან და ჟანგბადთან ურთიერთმოქმედებს. კიდევ ერთმა მეცნიერმა, ამერიკელმა ფიზიოლოგმა პროფესორმა ნიუტონ ჰარვიმ მთელი თავისი სიცოცხლე ცოცხალი ორგანიზმების მიერ სინათლის გამოცემის შესწავლას მოანდომა. მან თავის სტუდენტებთან ერთად დაამტკიცა, რომ არსებობს ლიუციფერინის და ლიუციფერაზის მრავალი ნაირსახეობა, რომ ფაქტობრივად, თითქმის, თითოეული მანათობელი ნივთიერება და განსაკუთრებული ფერმენტი არსებობს. ურთიერთმოქმედების დროს ისინი სწრაფად იცვლებიან და სპექტრის ხილულ ნაწილში ენერგიას გამოყოფენ. „რამდენიმე წლის წინათ მეთევზის პატარა შხუნით ვმოგზაურობდი. ზღვა ღელავდა. არასდროს დამავიწყდება ის საოცარი სანახაობა, მაშინ, რომ გადამეშალა თვალწინ, თითოეულ ტალღას თავზე ცეცხლი ეკიდა. ამის მიზეზი კი წყალში მანათობელ ერთუჯრე-

გაგრძელება 30-ე გვ.

დასაწყისი 29-ე გვ.

დიანთა კონცენტრაცია იყო. საზოგადოდ, ისინი სანაპირო წყლებში უფრო გვხვდება, მაგრამ მაშინ ტრილიონობით ციცქნა მანათობელმა არსებამ გაშლილ ზღვაში მოიყარა ერთად თავი და საოცრად ააბრჭყვიალა ზღვა. სასწაულებრივ ლამაზია მანათობელი ერთუჯრედიანებით აკიაფებული ზღვის ტალღები. მოიყრის ერთად გაშლილ ზღვაში თავს ტრილიონობით ციცქნა მანათობელი არსება თავს და ზღაპრულ სანახაობას ქმნის. თვითონ წარმოიდგინეთ ანაზდად აელვარებული ღამეული ზღვა" – იხსენებს მეცნიერი პ.ზალი. ბევრი მეცნიერი იმტვრევს თავს იმის დასადგენად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლუმინესცენციას ორგანიზმებისთვის. ისინი ვარაუდობენ, რომ ღრმა წყლების ბინადარი თევზები საკუთარ მანათობელ ორგანოებს პროჟექტორებად იყენებენ. სხვების აზრით კი, ლუმინესცენცია ეხმარება თევზების გუნდებს ერთად იყვნენ, იზიდავს ნადავლს, აადვილებს გამოცნობას. დღემდე ამოუცნობ საიდუმლოდ რჩება ის გარემოება, რომ ერთ სახეობას გააჩნია სინათლის გამომცემი ორგანოები, ხოლო მეორეს, მასთან ძალზე ახლო მდგომ სახეობას ნათება არ შეუძლია. ისიც გაურკვეველი რჩება, თუ რატომ გვხვდება მტკნარი წყლის ბინადართა შორის ლუმინესცენცია ასე იშვიათად. ახალ ზელანდიაში, საკლენდიდან ასი მილის მანძილზე მდებარეობს უეიტომის მღვიმეები, რომლებიც ახალზელანდიურ კოღოებს აურჩევიათ საცხოვრებლად და მნახველების განსაცვიფრებლად. ჩადიხართ სუსტად განათებულ მიწისქვეშეთში, ფრთხილად მიაბიჯებთ მის დერეფნებში, უკუნეთში მიწისქვეშა ტბის შავი წყლის შრიალი ისმის და გაკრთობთ. მერე გიდი გთავაზობთ: „ახლა მე შუქს გამოვრთავ, თქვენ კი ჭერში აიხედეთ". იმავე წამს კირის ჭერი წყლის თავზე ასობით მოთეთრო-ცისფერი ნაპერწკლებით მოიჭედა, მერე ტბის



ზედაპირზეც აირეკლა ნაპერწკლები. „ეს ნაპერწკლები ახალზელანდიური ციცქნა კოღოების მატლებია". – სასწაულიდან გამოგარკვევთ გიდის ხმა. თქვენ ძნელად იჯერებთ ამას, გიდი კი განაგრძობს „ახლა გთხოვთ, ჩემს ფარანს გამოაყოლოთ თვალი". თქვენ ასეც იქცევით და ახლა ათასობით აბრეშუმის ძაფს ხედავთ, რომლებზეც მარგალიტებივით არის ასხმული ფარნის თავ ქზე მოციაგე წვეთები. ყველა ეს ძაფი, რომელიც ისევე სახიფათოა სინათლით მოზიდული პატარ-პატარა მწერებისათვის, როგორც ობობას ქსელი. როცა მსხვერპლი ხაფანგში გაებმება, მატლი ჩაავლებს ძაფს ყბებსა და მუცლის ციცქნა ჯაგარს და შიგნით შეითრევს მას, მერე კლავს და შეექცევა...

იაპონიაში, ლუმინესცენციის ცნობილი სპეციალისტი იატა ანედა ნიჟაროვან კიბოებს სწავლობს. მან დაადგინა, რომ ეს ციცქნა მანათობელი კიბოსნაირები სიკვდილის შემდეგადაც ინარჩუნებენ ნათების უნარს. მეცნიერს შეუძლია დაინტერესებულ ადამიანებს სასწაული უჩვენოს. ამოიღებს პატარა პლასტიკის ფლაკონიდან გამხმარ ციცქნა კიბოებს, მერე ცოტა წყალს მოასხამს მათ, ოდნავ დაზილავს, რათა მყიფე ნიჟარები დაუმსხვრიოს ხელისგულზე მას უცნაური არამიწიერი სინათლე აუკიაფდება...

დასასრულს ვნახოთ, რას წერს ინგლისელი მეცნიერი, ბიოლუმინესცენციის დარგის სპეციალისტი პ. ზალი: „...ისევე, როგორც ბევრ სხვა სფეროში, აქაც, რაც უფრო მეტს ვგებულობთ ბიოლუმინესცენციის შესახებ, მით უფრო მეტი გვრჩება გასაგები. შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ოდესმე, როცა ბიოლუმინესცენციის ყველა საიდუმლო ბოლომდე იქნება ამოხსნილი, ცივი სინათლე გაანათებს ჩვენს სახლებსა და ქალაქებს, უზრუნველყოფს უსაფრთხო განათებას გვირაბებსა და მაღაროებში, მოემსახურება კოსმიურ ხომალდებს... ჯერჯერობით კი ამ დღის მოლოდინში ჩვენ იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ ბუნება ჯერ კიდევ ბევრად გვისწრებს წინ.

ხიტილის გაკვეთილი

–თქვენმა ბიჭმა შეურაცხყოფა მომაყენა, „ბებერი ძროხა" მიწოდა, – შესჩივლა აღშფოთებულმა მეზობლის ქალმა კურტის დედას.

–ძალიან ვწუხვარ, სულ იმას ვეუბნები კურტს, ადამიანებს მათი გარეგნობის მიხედვით ნუ შეარქმევ-მეთქი სახელს, მაგრამ ვერაფერი შევასმინე – მიუგო მას ქალბატონმა კლარამ.

***

–მამი, წამიყვანე რა, ცირკში, გთხოვ! – ეხვეწება პიერი მამას.

–სად მცალია ცირკისათვის, ერთი წუთი არა მაქვს თავისუფალი.

–სამწუხაროა, ამბობენ, ვეფხვზე ამხედრებული ტიტველი ქალი ისე დააჭენებს, რომ გაგიჟდები.

–მართლა, მაშინ წავიდეთ, რა ხანია ვეფხვი აღარ მინახავს!

***

–შენ ასწავლე ჩვენს თუთიყუშს ამდენი უწმაწური სიტყვა?

–არა, დედიკო, მე უბრალოდ ჩამოვუთვალე, რომელი სიტყვები არ უნდა იხმაროს.

***

ჟაკოს გაუთავებელი შეკითხვებით გაბეზრებულმა მამამ ვეღარ მოითმინა და წყრომით უთხრა შვილს:

–არა, ნამდვილად გამაგიჟებ შენი გაუთავებელი შეკითხვებით და საგიჟეთში ამომაყოფინებ თავს.

–მაშინ მამიკო, გეხვეწები ერთ უკანასკნელ კითხვაზეც მიპასუხე: შეიძლება საგიჟეთში გინახულო?

***

–აბა, მითხარი, გენაცვალე, დღეს რაღა ისწავლე სკოლაში? – ჰკითხა ფრანტიშეკს დიდედამ.

–დღეს ქიმიის მასწავლებელმა ასაფეთქებელი მოწყობილობა აგვიხსნა, ძალიან საინტერესო იყო.

–კეთილი და პატიოსანი, ხვალ რაღას გააკეთებ სკოლაში?

–რომელ სკოლაში?

***

–მადამ ელენ, მადამ ელენ! – ეძახის გააფთრებული ქალბატონი ვივიენი მეზობელს, – თქვენი სამი ბიჭი ისევ ჩემი ბლის ხეზე ასულა.

–რას მეუბნებით?! ღმერთო ჩემო, მეოთხე რატომღა არ არის მათთან ერთად?!



***

–რამდენ ლიტრ რძეს იწველის თქვენი ძროხა? – ეკითხება მასწავლებელი ოტოს.

–რვა ლიტრს, ბატონო მასწავლებელო!

–მერე რას უშვრებით რძეს?

–ორ ლიტრს ჩვენ თვითონ ვსვამთ, ცხრა ლიტრს კი ვყიდით.

***

მამამ შინ მარწყვით სავსე კალათი მიიტანა. სამივე შვილს თითო-თითო მარწყვი მისცა და დასძინა:

–დანარჩენებსაც ზუსტად ასეთი გემო აქვს.

***

–ხვალ ოთხი ინგლისურის გაკვეთილი გვაქვს, – მძიმედ ამოიოხრა ვილიმ.

–ეგ კიდევ არაფერი, გაუძლებს კაცი... შენ ისა თქვი, ინგლისელებმა რა უნდა ქნან, მთელი დღე მარტო ეგ ენა რომ ესმით?

***

ერთი კატა თაგვების ოჯახს დაედევნა. თაგვები თავქუდმოგლეჯილები გარბიან, უეცრად ოჯახის უფროსი გაჩერდა, შემობრუნდა და ყეფა დაიწყო. კატა დაფრთხა და გაიქცა. მამა თაგვი თავის წრუწუნას მიუბრუნდა:

–აი, ხომ ხედავთ, როგორი საჭირო ყოფილა უცხო ენების ცოდნა!

***

მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის:

–ანონიმი ეწოდება ადამიანს, რომელსაც უნდა უცნობი დარჩეს.

ამ დროს კლასში სიცილი გაისმა.

–რომელია მანდ რომ იცინის? – იკითხა მასწავლებელმა.

–ანონიმი, მასწ! – გაისმა პასუხი.

***

–დე, იცი, გუშინ ჯონი ხელპირდაუბანელი მივიდა სკოლაში და მასწავლებელმა შინ გაუშვა.

–მერე რა შედეგი მოჰყვა ამას?

–რა შედეგი და დღეს ცხრა ბიჭი და შვიდი გოგო მოვიდა სკოლაში პირდაუბანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწილდ-მიწილდ



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პირველი წარმოდგენა. 2. XI საუკუნის ხუროთმოძღვრების ძეგლი კახეთში. 3. ქიმიური ელემენტი. 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. 6. გამხმარი ხის ტოტი, ანუ? 9. ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას დასრულებულად ან დაუსრულებლად წარმოგვიდგენს. 10. ზედა კიდურების სარტყლის შემადგენელი ძვალი. 11. კუნთოვანი ძგიდე, რომელიც გულმკერდის ღრუს მუცლის ღრუსგან გამოყოფს. 12. ქართული ანბანის პირველი ასო. 13. გამომწვარი აგური. 14. სახელმწიფო აფრიკაში. 15. ქალის სახელი. 21 ქიმიური ელემენტი. 22. ნელი ქარი, ანუ? 23. ქუთაისის ძველი სახელი. 25. გამრუდებული ხერხემალი. 27. ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოების სახეობა, რომელსც ესა თუ ის სიუჟეტური და სტილისტური ნიშნები ახასიათებს. 30. ქალაქი საფრანგეთში. 31. თბილისის „დინამოს" ყოფილი მოთამაშე. 33. წყალსატევი, რომელსაც კავშირი არა აქვს ოკეანესთან. 35. შუა აზიის სახელმწიფო. 38. ფრინველი. 39. მწვანილი. 41. ქალაქი საქართველოში.

ᲗᲐᲠᲐᲯᲬᲣᲚᲐᲓ: 1. ადგილი, რომელზეც მოჰყავთ სასოფლო-სამეურნეო კულტურა. 4. წინადადება აგებულების მიხედვით. 7. შორისდებული, რომელსაც ტელეფონით ლაპარაკის დროს ხმარობენ. 8. სასმელი. 11. სახელმწიფო აფრიკაში. 14. სახელმწიფო აზიაში. 15. სოფელი ჩხოროწყუს რაიონში. 16. სვანეთის მწვერვალი. 17. სახელმწიფო აფრიკაში. 18. მდინარე საქართველოში. 19. ბერკეტი, ანუ? 20. მანძილის საზომი ერთეული. 22. ნუსხა, ანუ? 24 მდინარე რუსეთში. 26. ამა თუ იმ სფეროში მოღვაწეობის ხანგრძლივობა. 28. ფიცრის საწოლი. 29. მტკვრის მარცხენა შენაკადი. 32. ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებში მგლის სახელი. 34. სახელმწიფო აზიაში. 35. საოჯახო ნივთი. 36. მცენარე. 37. გარკვეული მონაკვეთი საუკუნეებისა, წლებისა და მისთანათი. 40. ქართველი მწერალი. 42. მოფიქრებული, მაგრამ ჯერ განუხორციელებელი აზრი.



გამოიცანი, ვინ რომელ სადარმაზოში ცხოვრობს



ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲘ

ამ ლაბირინთში მარჯვენა მხრიდან შედი და მარცხნიდან გამოდი. აქ გზის გაკვლევა არც ისე იოლი ამბავია. აბა, რომელი თქვენგანი გამოიჩენს მოთმინებას და უნარს. თუ ამ ამოცანას 8-10 წუთში გადაჭრი, შენ ყურადღებას არ უნდა დაემდურო.

საქართველოს მოძველი

ჯვარის მე-3 საშუალო
სკოლა, IV კლასი.
სულმძღვანელი
ოფელიმა ჭანტურია

ჯვარის მე-3 საშუალო
სკოლა, I კლასი.
სულმძღვანელი
მანონი ფიფია

ჯვარის მე-3 საშუალო
სკოლა, IV კლასი.
სულმძღვანელი
ირმა ფარულავა

თბილისის საერო სკოლა
„ათინათი“



ცოდნის

ბაძავრი

ლარა მესხი